Global Compact
Network Georgia

# სამოქალაქო სექტორის წვლილი
## მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში

შვედეთი
Sverige

კვლევა ჩატარდა ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის - ეისითის მიერ გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის დაკვეთითა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით.

# გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი

ჩვენ, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, ვისწრაფვით შევქმნათ გარემო, სადაც ვისწავლით, გავაზიარებთ გამოცდილებებს და ვითანამშრომლებთ თანამოაზრე ორგანიზაციებთან. ჩვენ წარმოვადგენთ გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივის სხვადასხვა მონაწილე მხარეების ადგილობრივ პლატფორმას, რომლის მიზანიც მდგრადი კომპანიებისა და დაინტერესებული მხარეების გლობალური მოძრაობის მობილიზებაა, რათა შევქმნათ სამყარო, რომელში ცხოვრებაც გვინდა. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ხელს უწყობს პარტნიორობას ამა თუ იმ მონაწილე და დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც სარგებელს მოუტანს როგორც ბიზნესს, ასევე საზოგადოებას. გაეროს ინიციატივით, ჩვენ მხარს ვუჭერთ გლობალურად აღიარებულ სტანდარტებს და ადგილობრივ განვითარებაში საერთაშორისო გამოცდილებას ვიყენებთ.

ბიზნეს სექტორთან აქტიური თანამშრომლობის პარალელურად, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს და მასპინძელ ორგანიზაციას - სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA), მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა გვაკავშირებს საქართველოს მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასა და აკადემიურ ინსტიტუტებთან საქართველოში მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის განსახორციელებლად. საქართველოს მთავრობასთან ჩვენი თანამშრომლობის შედეგად, მიღებულ იქნა ახალი პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც პასუხისმგებლიანი ბიზნესის მონაწილეობის და ჩართულობის წახალისებას შეუწყობს ხელს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) განხორციელებაში. გვსურს გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მთავრობას და ყველა დაინტერესებულ და პროცესის მონაწილე მხარეს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეფექტური და თანამშრომლური პარტნიორობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთობლივად საერთო მიზნებისკენ არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადავდგით, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა აღნიშნული მიმართულებით, მონაცემთა ნაკლებობაა, რაც მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის სრული სურათის დანახვის საშუალებას მოგვცემს. როგორც მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს წევრმა, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა 2020 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობას მიმართა წინადადებით, გაეროს ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ფარგლებში, განეხორციელებინათ მონაცემთა კონსოლიდაცია ქართული ბიზნესებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მიმართულებით შეტანილი წვლილის შესახებ. ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის - ეისითის (ACT - Analysis and Consulting Team) და ინოვას (Innova LLC) ფასდაუდებელი ძალისხმევითა და მხარდაჭერით, საქართველოში სამიზნე სექტორების მიმდინარე საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის შესახები ინფორმაციის მოპოვება შევძელით. ასევე, მოვახერხეთ თვალყური გვედევნებინა დღის წესრიგის განხორციელების ზოგადი ტენდენციების, შესაძლებლობებისა და გამოწვევებისათვის. წინამდებარე ანგარიში არ ასახავს არასამთავრობო სექტორის საუკეთესო პრაქტიკას მთლიანობაში. ანგარიში აღწერს წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის საუკეთესო მოდელებს, რომელიც დიდი, საერთო მიზნებისკენ სწრაფვაზე მიუთითებს.

ახლა, ისე როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ყველა ძირითადი დაინტერესებული და მონაწილე მხარის, მათ შორის ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა პასუხისმგებლიანი ქცევის ხელშესაწყობად როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში.

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გლობალურმა კრიზისმა ნათლად დაგვანახა სოციალური კეთილდღეობის მნიშვნელობა და ის, თუ რამდენად ურთიერთდაკავშირებულია იგი ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ასევე, დაგვანახა, რომ ძვირფასია საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი საჭიროებების გათვალისწინება. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს სექტორი, მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება იდგნენ ერთად და ხელი შეუწყონ მდგრადი მომავლის შენებას!

სალომე ზურაბიშვილი,
**გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (GCNG) აღმასრულებელი დირექტორი**

# სარჩევი


| | |
|---|---|
| 4 | **აკრონიმები** |
| 5 | **წინაპირობა** |
| 6 | **კვლევის მიზნები და ამოცანები** |
| 6 | **კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია** |
| 7 | **შეჯამება** |
| 11 | **სამოქალაქო სექტორის წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში: კვლევის შედეგები** |
| 11 | **I. ადამიანური კაპიტალის განვითარება და სოციალური კეთილდღეობა** |
| 11 | ა) სიღარიბის აღმოფხვრა და სოციალური ინკლუზია |
| 19 | ბ) ჯანდაცვის სისტემა |
| 23 | გ) განათლება |
| 27 | **II. ეკონომიკური ზრდა** |
| 27 | ა) ენერგიის ხელმისაწვდომობა და გარემო |
| 30 | ბ) ეკონომიკური ზრდა |
| 35 | გ) მრეწველობა, ინოვაცია, ინფრასტრუქტურა |
| 36 | დ) მდგრადი მოხმარება და წარმოება |
| 39 | ე) მდგრადი ურბანიზაცია |
| 41 | **III. დემოკრატიული მმართველობა** |
| 41 | ა) თანასწორობა |
| 52 | ბ) მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუცია |
| 56 | **IV. პარტნიორობა მიზნებისთვის** |
| 59 | **V. ახალი კორონავირუსის (Covid-19) პანდემიის დროს განხორციელებული საქმიანობა** |
| 61 | **დასკვნები** |
| 61 | **ძირითადი მიგნებები** |
| 62 | **ადამიანური რესურსების განვითარება და სოციალური კეთილდღეობა** |
| 62 | **ეკონომიკური ზრდა** |
| 62 | **დემოკრატიული მმართველობა** |
| 64 | **დანართი: ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც მონაწილეობდნენ თვისებრივ და სამაგიდე კვლევებში** |

# აკრონიმები

| | |
|---|---|
| **AA** | ასოცირების შეთანხმება |
| **CENN** | კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი |
| **CIDA** | სამოქალაქო განვითარების სააგენტო |
| **CSO** | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია |
| **CSRDG** | საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი |
| **EMC** | ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი |
| **ENPARD** | სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა |
| **EPRC** | ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი |
| **EU** | ევროკავშირი |
| **GCNG** | გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი |
| **GFA** | საქართველოს ფერმერთა ასოციაცია |
| **GYLA** | საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია |
| **HLPF** | მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი |
| **IDFI** | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი |
| **IDP** | იძულებით გადაადგილებული პირი |
| **LGBT** | ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი |
| **NGO** | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| **OSGF** | ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ |
| **SDGs** | მდგრადი განვითარების მიზნები |
| **TI** | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| **ToT** | ტრენერთა ტრენინგი |
| **UN** | გაერთიანებული ერები |
| **VNR** | ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა |

# წინაპირობა

2015 წლის 25 სექტემბერს გაერომ რეზოლუცია, სახელწოდებით „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“ მიიღო და მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) დაამტკიცა. მდგრადი განვითარების დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას, რომლებიც 5 ძირითად მიმართულებადაა (5P) გაერთიანებული:

| | |
|---|---|
| **ხალხი** | სიღარიბის და შიმშილის ყველა ფორმის აღმოფხვრა, ყველა ადამიანისათვის ღირსებისა და თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანსაღ გარემოში; |
| **კლანეტა** | დედამიწის განადგურების ხელის შეშლის მიზნით ითვალისწინებს ისეთი ქმედებების განხორციელებას, როგორიცაა: ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, კლიმატის ცვლილების პრევენცია და ა.შ; |
| **კეთილდღეობა** | უზრუნველყოს ყველა ადამიანისთვის წარმატებული ცხოვრების შესაძლებლობა; |
| **მშვიდობა** | მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება შიშისა და ძალადობისაგან; |
| **პარტნიორობა** | მიზნების მისაღწევად გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობა (SDGs). |

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე განხორციელების კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით, 2017 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა საჯარო ადმინისტრირების რეფორმისა და მდგრადი განვითარების საბჭო. მას თავმჯდომარეობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. საბჭო შედგება ცენტრალური სახელმწიფო ინსტიტუციების ისეთი წარმომადგენლებისგან, როგორიცაა: საჯარო სამსახურის ბიურო, სახელმწიფო სტატისტიკის ოფისი და სხვადასხვა სამინისტროები. საბჭომ დააფუძნა 5 თემატური სამუშაო ჯგუფი: (1) სოციალური ჩართულობა; (2) ეკონომიკური ზრდა; (3) დემოკრატიული მმართველობა; (4) მდგრადი ენერგია და (5) გარემოს დაცვა.

ვინაიდან მდგრადი განვითარების მიზნები მხოლოდ მთავრობის ძალისხმევით ვერ მიიღწევა, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასში როგორც ბიზნეს სექტორის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისევე როგორც სახელმწიფო სააგენტოები, თემატური სამუშაო ჯგუფების ეფექტური ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ.

ამჟამად საქართველოში არ არსებობს კონსოლიდირებული ინფორმაცია და მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომლითაც შეფასდება ბიზნეს და არასამთავრობო სექტორების მიერ 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებისათვის მიღებული ღონისძიებები. შესაბამისად, CIDA/გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (GCNG) პროექტი „ლიდერობა მდგრადი განვითარებისათვის საქართველოში“, რომელიც მხარდაჭერილია შვედეთის მთავრობის მიერ, მიზნად ისახავს SDG დიალოგში ჩართოს ბიზნეს სექტორი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მოიძიოს, დაამუშაოს, ასევე გაანალიზოს საქართველოში კერძო და არასამთავრობო სექტორების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების კუთხით მიღწეული პროგრესი.

2016 წელს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ გამართულ მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (HLPF), საქართველოს მთავრობამ პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა (VNR) წარადგინა. 2020 წლის ივლისში გამართულ HLPF -ზე წარდგენილი იყო მეორე VNR. დღის წესრიგი 2030-ზე მთავრობის მიერ მიღწეული პროგრესის გარდა, ასევე CIDA/GCNG-ის მხარდაჭერის შედეგად საბოლოო ანგარიშში, როგორც ცალკე დოკუმენტი, აისახა

ინფორმაცია საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების **(SDGs)** განხორციელებაში კერძო სექტორის წვლილის შესახებ.

ინფორმაცია საბოლოოდ გამოქვეყნდება **SDG** კომპასის საჯარო პლატფორმაზე, რომელიც **GCNG**-ის მხარდაჭერით 2021 წლიდან იფუნქციონირებს.

## კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მთავარი მიზანია, შეაფასოს სამოქალაქო სექტორის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების **(SDGs)** განხორციელების სტატუსი და აღწეროს განხორციელებისთვის გაღებული კონკრეტული წვლილი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვლინდა შემდეგი ამოცანები:

- მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრესისა და საქმიანობის შესწავლა ადამიანური რესურსების განვითარების და სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით;
- მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრესისა და საქმიანობის შესწავლა ეკონომიკური ზრდის მიმართულებით;
- მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრესისა და საქმიანობის შესწავლა მმართველობის მიმართულებით.

ამ კვლევების შედეგების გათვალისწინებით, **CIDA/GCNG** უკეთესად შეძლებს კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვასა და სპეციფიური აქტივობების ორგანიზებას, რათა გაზარდოს ეფექტურობა და შედეგის საერთო ხარისხი.

## კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნებოდა სამაგიდე კვლევას და რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების კომბინაციას. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოძიებულია როგორც სამაგიდე კვლევიდან, ისე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევებიდან.

სამაგიდო კვლევის ფარგლებში მოხდა წინასწარ შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციების 2018-2020 წლების წლიური ანგარიშების შესწავლა. კვლევის ფარგლებში, მკვლევარების ჯგუფმა 6 სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ორგანიზაციული აქტივობები შეისწავლა.

თვისებრივმა კვლევამ მოიპოვა მრავალმხრივი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ მიზნებს არასამთავრობო ორგანიზაციები. თვისებრივი კვლევისთვის საჭირო საველე სამუშაოების განხორციელებისას, ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი **(ACT)** დაუკავშირდა წინასწარ შერჩეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. თვისებრივი კვლევის საერთო შერჩევა, მათ შორის სამაგიდე კვლევა და ჩაღრმავებული ინტერვიუები, 18 ორგანიზაციას მოიცავდა. თითოეული ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა 50 წუთი იყო.

კვლევის მიმდინარეობის ბოლო ეტაპზე განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა თვისებრივი კვლევით მიღებული შედეგების დადასტურებას და **SDG**-ების თითოეული ამოცანის გაზომვას, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის თავმოყრის მიზნით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოქმედმა 106-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ (ორგანიზაციების 58.5% მოქმედებდა თბილისში და 41.5% - სხვადასხვა რეგიონში). საგულისხმოა, რომ გამოკითხული ორგანიზაციების 10% **CSR** კლუბის წევრი იყო, ხოლო ორგანიზაციების 5,7% - **GCNG**-ის წევრი.

# შეჯამება

კვლევის საერთო მიზანი არასამთავრობო სექტორის მიერ **SDG**-ების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მოძიება იყო. კვლევა ჩატარდა პროექტის „ლიდერობა მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც **CIDA/GCNG**-ის მიერ შვედეთის მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება.

აღნიშნული ანგარიში იმეორებს საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ძირითადი ანგარიშის სტრუქტურას.

***აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვლინდა შემდეგი ამოცანები:***

***მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრესისა და საქმიანობის შესწავლა ადამიანური რესურსების განვითარების და სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით;***

***მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრესისა და საქმიანობის შესწავლა ეკონომიკური ზრდის მიმართულებით;***

***მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად განხორციელებული პროგრესისა და საქმიანობის შესწავლა მმართველობის მიმართულებით.***

კვლევა ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების კომბინაციით. თვისებრივი კვლევის ეტაპზე კვლევის ორი ტექნიკა იყო გამოყენებული - სამაგიდე კვლევა და სიღრმისეული ინტერვიუები. სამაგიდე კვლევის ფარგლებში მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წლიური ანგარიშების ანალიზი; ხოლო სიღრმისეული ინტერვიუები მკვლევარ ჯგუფს დაეხმარა პროექტების შინაარსისა და ორგანიზაციული პრაქტიკების შესახებ უფრო დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მოძიებაში. რაოდენობრივმა კვლევამ წარმოადგინა მდგრადი განვითარების თითოეული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ რეპრეზენტატული ინფორმაცია. საქართველოს მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა მიიღო 106-მა ორგანიზაციამ.

კვლევის პირველი ნაწილი მოიცავს **SDG**-ს ყველაზე სოციალურ მიზნებს. თვისებრივი და რაოდენობრივი შედეგების მიხედვით ჩატარებულმა კვლევამ ასახა ძირითადი ტენდენციები ადამიანური რესურსების განვითარებისა და სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით. რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ 1-ლი მიზნის - „სიღარიბის აღმოფხვრა“ - ქვეშ განხორციელებული ყველაზე ხშირი აქტივობა იყო მოწყვლადი ჯგუფებისთვის უფასო კონსულტაციების გაწევა მათი ეკონომიკური გაძლიერებისთვის (58.5%). ამ აქტივობის შემდგომ ყველაზე ხშირად განხორციელებული ღონისძიება იყო სხვადასხვა თემატური ტრენინგების ჩატარება (52.8%) და სოციალური პოლიტიკის მონიტორინგი და ადვოკატირება (51.9%). აღსანიშნავია, რომ ტრენინგების ჩატარება მე-2 მიზნის ქვეშ განხორციელებულ ერთ-ერთ ყველაზე ხშირ აქტივობებს შორისაც იყო. სტატისტიკის მიხედვით, გამოკითხული ორგანიზაციების 22.6%-მა ჩაატარა სოფლის მეურნეობის თემატიკასთან დაკავშირებული ტრენინგები. გარდა სოფლის მეურნეობის თემატიკაზე ჩატარებული ტრენინგებისა, მკვლევართა გუნდმა მეორე მიზნის ქვეშ სამი ძირითადი ტენდენცია გამოავლინა, რომელიც ჩამოყალიბდა ბოლო 2 წლის განმავლობაში. ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უთანამშრომლია საქართველოს მთავრობასთან სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესების თაობაზე (19%) და განახორციელა შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობები, რათა ცვლილებებთან დაკავშირებით ფერმერების ინფორმირება მოეხდინათ(19%). მე-2 მიზნის ქვეშ გამოვლენილი მესამე ტენდენცია სხვადასხვა ნივთების ლაბორატორიული ტესტირება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირება იყო (10%). აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე მიზნების ქვეშ განხორციელე-

ბული ზოგიერთი აქტივობა ვერ კლასიფიცირდება რომელიმე კონკრეტული მიზნის ქვეშ. ერთ-ერთი ამგვარი აქტივობა, რომელიც თვისებრივი კვლევის დროს გამოვლინდა, საგრანტო პროგრამების განხორციელება იყო. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების მიხედვით, მცირე გრანტების პროგრამები მიზნად ისახავდა მოწყვლადი ჯგუფების (29,2%), ფერმერების (22,6%), მეწარმეების (25,5%) და სოციალური მეწარმეების (22,6%) გაძლიერებას მცირე ბიზნესის ინიციატივებისა და იდეების დაფინანსების გზით.

**SDG**-ის მე-3 მიზნის ფარგლებში თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ მიზნის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა მიზნად ისახავდა ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას. რაოდენობრივი კვლევის თანახმად, ორგანიზაციათა ყველაზე დიდი ნაწილი ხელს უწყობდა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას (50.9%). ამ მიზნის შემდგომი მნიშვნელოვანი აქტივობა იყო თანამშრომლებისა და მათი ოჯახებისთვის კორპორატიული დაზღვევის სისტემის უზრუნველყოფა (30,2%); მესამე ყველაზე გავრცელებული აქტივობა ქალთა ჯანმრთელობასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება იყო (29.2%). ძირითადი ტენდენციების გარდა, თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა ძალიან საინტერესო შემთხვევები, რომლებიც მოხსენიებულია და განხილულია ანგარიშში, მათ შორის არის დამოკიდებულებების პრობლემებისა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მქონე პირების რეაბილიტაცია.

**SDG**-ის მე-4 მიზანთან მიმართებაში, კვლევის დროს ერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება გამოვლინდა. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციები მეოთხე მიზნის განხორციელებას, სხვა აქტივობებთან შედარებით, უფრო მეტად შიდა ორგანიზაციული აქტივობებით ახდენენ. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების 56.6%-მა აღნიშნა, რომ ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას და მათთვის ტრენინგებს აფინანსებს, ხოლო ორგანიზაციების 46.2%-მა აღნიშნა, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის ჩაატარეს ტრენინგები თავიანთი სტრატეგიული მიმართულებების ირგვლივ. მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები მუშაობდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ამ სფეროში ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით; სხვა ორგანიზაციამ, რომელიც სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობდა, ფერმერებს ჩაუტარა შესაბამისი თემატიკის ტრენინგები; გენდერული თანასწორობის თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებმა ჩაატარეს ტრენინგები, რომლებიც ამ საკითხებს უკავშირდებოდა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციების 16%-მა ტრენინგები ბიზნეს სექტორის, 21.7%-მა კი მედიის წარმომადგენლებს ჩაუტარა. მსგავსი სექტორთშორისი თანამშრომლობის მაგალითები წარმოდგენილია თვისებრივი კვლევის შედეგებში.

კვლევის მეორე თავი მოიცავს მე-7, მე-8, მე-9, მე-10, და მე-11 მიზნებს, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდასთანაა დაკავშირებული. შედეგების თანახმად, ორგანიზაციების ყველაზე დიდმა ნაწილმა ამ მიზნების განხორციელებას ხელი შემდეგი აქტივობებით შეუწყო: (1) შრომითი უფლებების დაცვა თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და ღირსეული სამუშაო პირობების შეთავაზების გზით; (2) ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა - მცირე გრანტების გამოყენებით (სოციალური) მეწარმეობის ხელშეწყობა და განვითარება; (3) გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება დასუფთავებისა და გამწვანების კამპანიების ორგანიზების გზით. მიუხედავად იმისა, რომ დასუფთავებისა და გამწვანების კამპანიები ყველაზე ხშირი აქტივობა იყო, არ ხასიათდებოდა მდგრადობითა და თანმიმდევრულობით, რადგან მცირეხნიანი და ფრაგმენტული ღონისძიებები იყო. გარდა ამისა, რაოდენობრივმა კვლევამ წარმოადგინა რეპრეზენტატული მონაცემები თითოეულ მიზანზე და კვლევის ინფორმირება მოახდინა ძირითად ტენდენციებთან დაკავშირებით.

მე-7 მიზნის ფარგლებში, სამი ძირითადი ტენდენცია გამოვლინდა: (1) ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების განხორციელება (20.8%); (2) ენერგოეფექტურობის პოლიტიკის ადვოკატირება და მონიტორინგი (14.2%); (3) სუფთა ენერგიის წყაროების გამოყენების წახალისება ორგანიზაციების ოფისებში (8,5%). მე-8 მიზნის განხორციელების თვალსაზრისით, რაოდენობრივმა კვლევამ სამი ძირითადი ტენდენცია გამოავლინა: (1) ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა და სტუდენტებისთვის/ახალგაზრდებისთვის მოქნილი გრაფიკის შეთავაზება (38,7%); მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დასაქმება და სტაჟირების პროგრამების შეთავაზება არასამთა-

ვრობო ორგანიზაციების მიერ მერვე მიზნის ქვეშ განხორციელებული ყველაზე ხშირი აქტივობა იყო, ორგანიზაციებში ახალგაზრდა თანამშრომლების პროცენტული წილი (18-25 წლის) შედარებით დაბალი იყო (10%). (2) მერვე მიზნის მეორე ტენდენცია დასაქმებულთათვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა და შრომის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველმყოფი მექანიზმების არსებობა იყო (33%). (3) მერვე მიზნის ქვეშ განხორციელებული მესამე ყველაზე ხშირი აქტივობა მეწარმეობისა (25,5%) და სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა (22,6%) იყო. ძირითადი მიმართულებების გარდა, თვისებრივი კვლევის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა და აქტივობა გამოვლინდა, რომელიც შემდგომ რაოდენობრივი კვლევის დროს გაიზომება; პირველი მსგავსი აქტივობა მწვანე და ეკომეწარმეობის მხარდაჭერა იყო (17,9%), ხოლო მეორე მდგრადი ტურიზმის განვითარება (27,4%).

რაც შეეხება მეორე თავის დარჩენილ მიზნებს, თვისებრივი კვლევის დროს რამდენიმე ორგანიზაციამ მოიხსენია მე-9 მიზნის ქვეშ განხორციელებული თავიანთი აქტივობები, რომლებიც გაიზომა რაოდენობრივი კვლევის დროს. შედეგების თანახმად, მეცხრე მიზნის ქვეშ ორი მთავარი მიმართულება გამოიკვეთა: (1) საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და განახლებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება (23.6%); (2) საკანონმდებლო ინიციატივების/ პროექტებისა და მედიაციის ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა (13%).

როგორც უკვე აღინიშნა, მე-11 მიზნის ფარგლებში ყველაზე გავრცელებული ტენდენცია დასუფთავების (37.7%) და გამწვანების (34%) კამპანიების ჩატარება იყო. ამ ორი აქტივობის გარდა, ორგანიზაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათი ოფისის ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე. ორგანიზაციების ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ ხელს უწყობენ საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, რათა ის მეტად უსაფრთხო გახდეს შშმ პირებისა და ქვეითად მოსიარულეთათვის.

მე-12 მიზნის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთი წვლილი მდგრადი მოხმარების პრაქტიკების დანერგვის კუთხით შეიტანეს. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების შედეგების მიხედვით, ორგანიზაციების 43.3%-ს დანერგილი აქვს გამოყენებული ქაღალდის გადამუშავების პრაქტიკა; ორგანიზაციების 28% ცდილობს შეამციროს პლასტმასის მოხმარება ოფისებში. ორგანიზაციების 26%-მა აღნიშნა, რომ ისინი ხელს უწყობენ საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. და ბოლოს, ორგანიზაციების 11%-მა აღნიშნა, რომ ადვოკატირებას უწევენ წარმოების პროცესში მავნე ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შემცირებას.

კვლევის მესამე თავი ფარავს მეხუთე, მეათე და მეთექვსმეტე მიზნებს და განიხილავს თანასწორობასა და ინსტიტუციურ განვითარებასთან დაკავშირებულ თემებს. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევარების გუნდმა ერთი ზოგადი დაკვირვება გააკეთა. მმართველობის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები მიდრეკილი არიან მხარი დაუჭირონ გენდერულ თანასწორობას ადვოკატირებისა და პოლიტიკის მონიტორინგის გზით, ხოლო სოციო-ეკონომიკური კუთხით მომუშავე ორგანიზაციები გენდერულ თანასწორობას შესაძლებლობებისა და ეკონომიკური გაძლიერების ღონისძიებებით მეტად ცდილობენ. მე-5 მიზნის ქვეშ გამოვლენილი ტენდენციების მიხედვით, ყველაზე გავრცელებული აქტივობა ორგანიზაციის ეთიკის კოდექსში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინკორპორირება იყო (64%). გარდა ამისა, ორგანიზაციების 50.9%-მა მეხუთე მიზნის განხორციელებას ხელი შეუწყო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ტრენინგების ჩატარების გზით. გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების 37.7%-მა აღნიშნა, რომ ჩაატარეს ტრენინგები ადრეული ქორწინების, იძულებით ქორწინების, ოჯახური ძალადობისა და გენდერული თანასწორობის თაობაზე. გარდა ყველაზე გავრცელებული ტენდენციებისა, თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა საინტერესო შემთხვევები, რომლებიც გაიზომა რაოდენობრივი კვლევის დროს. შესაბამისად, 34.9%-მა უპასუხა, რომ ისინი ჩართულები არიან გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში, ხოლო ორგანიზაციების 31.3%-ს თავად ორგანიზაციის შიგნით აქვს სექსუალური შევიწროების და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მონიტორინგის მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებიც იყენებდნენ მცირე საგრანტო პროგრამებს. ორგანიზაციების 30.2%-მა აღნიშნა, რომ

ქალი მეწარმეებისათვის შეუთავაზებიათ მცირე საგრანტო პროგრამები, გამოკითხული ორგანიზაციების 27.4% კი უპასუხა, რომ უფასო იურიდიული მომსახურება გაუწიეს ქალებს. და ბოლოს, ორგანიზაციების 24.5% აღნიშნა, რომ მათ აქვთ პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს „შუშის ჭერის" წინააღმდეგ ბრძოლას.

მე-10 მიზნის ფარგლებში განხორციელებული ყველაზე ხშირი აქტივობა ორგანიზაციის ეთიკის კოდექსში ანტიდისკრიმინაციული და შევიწროების საწინააღმდეგო პრინციპების ინტეგრაცია იყო (40,6%). ორგანიზაციების 31.1% აცხადებდა, რომ ისინი უზრუნველყოფენ დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს ყველასთვის. უფრო მეტიც, გამოკითხული ორგანიზაციების 24.5%-მა აღნიშნა, რომ ისინი უზრუნველყოფდნენ დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე ორგანიზაციის გარეთ. არასამთავრობოების 28.3%-მა კვლევის დროს აღნიშნა მათი პროექტული აქტივობები, რომლებიც მხარს უჭერს იძულებით გადაადგილებულ და საზღვრისპირა ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს დამატებითი სერვისების შეთავაზებისა და მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელების გზით.

მე-16 მიზნის განხორციელების ფარგლებში, გამოვლინდა შემდგომი მიგნებები: (1) არასამთავრობო ორგანიზაციების 20.8%-მა ამ მიზნის განხორციელებას ხელი შეუწყო სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე უფასო იურიდიული მომსახურების გაწევის გზით; (2) ორგანიზაციების 24.5%-მა განაცხადა, რომ ჩართულია სასამართლო სისტემის რეფორმაში; ორგანიზაციების 17,9% აღნიშნავდა, რომ კონფლიქტის ზონებთან ახლოს მცხოვრებთათვის აქვთ სპეციალური სერვისები და პროგრამები. მეთექვსმეტე მიზნის ამოცანებს შორის, ყველაზე ნაკლები აქტივობა ტრეფიკინგის, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის მიმართულებით იყო განხორციელებული.

**SDG**-ს ბოლო, მე-17 მიზანი ეხება სექტორთაშორის თანამშრომლობას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების ფარგლებში სხვადასხვა სექტორთან თანამშრომლობენ. რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ორი წლის განმავლობაში ერთობლივი პროექტები განახორციელეს: სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (60.4%), მთავრობასთან (39.6%), აკადემიურ ინსტიტუტებთან (31.1%), ბიზნეს სექტორთან (22.6%) და მედიის სექტორთან (17%). თავიანთი ინიციატივებისა და პროექტული აქტივობების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეაფასეს სექტორთაშორისი თანამშრომლობის მექანიზმები. გამოკითხული ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა ნეიტრალურად შეაფასა აღნიშნული მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ მექანიზმის უარყოფითად შემფასებელი ორგანიზაციების მაჩვენებელი უფრო მაღალია (25.8%), ვიდრე პოზიტიური შეფასების მქონე ორგანიზაციების (11.4%). ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ეფექტურობის გაზრდის მიზნით საჭიროა გარკვეული ზომების მიღება. ამგვარად, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების მონაწილეებმა სამი ძირითადი რეკომენდაცია განიხილეს:

**მდგრადი განვითარების მიზნებსა და განხორციელების მექანიზმებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, ბიზნეს საზოგადოებისა და ზოგადად მოსახლეობისთვის;**

**სექტორებს შორის მეტი პროაქტიული თანამშრომლობა, რათა არსებული პროექტები უფრო სრულყოფილი და სისტემური იყოს (რესურსების ეფექტური გამოყენება);**

**მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში ბიზნეს სექტორის მეტი ჩართულობა.**

# სამოქალაქო სექტორის წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში:

## კვლევის შედეგები

ამ ნაწილში შეჯამებულია არასამთავრობო სექტორის ჩართულობა და მისი წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში. ინფორმაცია დაჯგუფებულია სამ ძირითად თემატურ მიმართულებად, რომელიც წარმოდგენილი და განხილულია ცალკეულ ქვესექციებში. პირველი ქვესექცია მიმართულია ადამიანური რესურსების განვითარებასა და სოციალურ კეთილდღეობაზე. იგი ძირითადად მიმოიხილავს სამოქალაქო სექტორის წვლილს 1-ელ, მე-2, მე-3 და მე-4 მიზნების მისაღწევად. მეორე ქვეთავი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის დეტალურ მიმოხილვას და ფარავს მდგრადი განვითარების იმ მიზნებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი ზრდის საკითხებს (მიზნები მე-7, მე-8, მე-9, მე-11 და მე-12). ბოლოსკენ, მესამე ქვესექცია განიხილავს დემოკრატიული მმართველობის საკითხებს და მოიცავს არასამთავრობო სექტორის ძალისხმევას გენდერული თანასწორობის, სოციალური ჩართულობისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით (მიზნები 5,10, 16).

ქვემოთ წარმოდგენილი თითოეული ქვესექცია მიმოიხილავს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ აქტივობებს სხვადასხვა თემატიკისა და კონკრეტული მდგრადი განვითარების მიზნების ჭრილში (სადაც შესაძლებელია) და აღწერს, თუ როგორ მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყანაში 2030 დღის წესრიგის განხორციელების პროცესში.

## I. ადამიანური კაპიტალის განვითარება და სოციალური კეთილდღეობა

### ა) სიღარიბის აღმოფხვრა და სოციალური ინკლუზია

მდგრადი განვითარების დღის წესრიგის პირველ ორ მიზანს წარმოადგენს სიღარიბისა  და შიმშილის აღმოფხვრა. ამ ორი მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობები სხვადასხვაგვარია, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს ემსახურება და ყველა პროფილის ორგანიზაციას აძლევს თავიანთი სიტყვის თქმის შესაძლებლობას. 2030 წლის დღის წესრიგის პირველი მიზანი - სიღარიბის აღმოფხვრა - შეიძლება მიიღწეს შემდეგი ღონისძიებების/ აქტივობების განხორციელებით:

- ისეთი პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრას ყველგან და ყველა ადამიანისთვის;
- სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის კაცების, ქალებისა და ბავშვების რაოდენობის განახევრება კონკრეტული ეროვნული განმარტებების შესაბამისად;
- ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემების და ყველა მოქალაქეზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელების მხარდაჭერა, 2030 წლისთვის მოწყვლადი და ღარიბი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა;
- ყველა კაცსა და ქალს, განსაკუთრებით, ღარიბ და მოწყვლად პირებს ჰქონდეთ ეკონომიკურ რესურსებზე თანაბარი უფლება, ასევე, ძირითად სერვისებზე წვდომა, მიწის  მფლობელობა და მართვა; ასევე, სხვადასხვა სახის ქონებაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, შესაბამის ახალ ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის, მიკროფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
- ღარიბი და მოწყვლად სიტუაციაში მყოფი ადამიანების მდგრადობის უზრუნველყოფა; კლიმატურ მოვლენებთან დაკავშირებულ და სხვა ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოში მიმდინარე კატასტროფებთან მიმართებაში მათი მოწყვლადობის შემცირება;
- სხვადასხვა წყაროებიდან რესურსების მობილიზაციის უზრუნველყოფა,  მათ შორის, განვითარების საკითხებზე გაძლიერებული თანამშრომლობის გზით იმისთვის, რომ განვითარებადი ქვეყნები, განსაკუთრებით, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, უზრუნველყოფილი იყვნენ ადეკვატური და პროგნოზირებადი საშუალებებით, რათა განახორციელონ სიღარიბის ყველა ფორმის აღმომფხვრელი პროგრამები და პოლიტიკები;

ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე შეიქმნას პოლიტიკის ჩარჩოები ღარიბი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და გენდერულად მგრძნობიარე განვითარების სტრატეგიებზე დაყრდნობით, რათა ხელი შეეწყოს სიღარიბის აღმოფხვრაზე ორიენტირებული ინვესტიციების განხორციელებას.

თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, სხვადასხვა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში მდგრადი განვითარების გეგმების განხორციელებაში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ პირველი და მეორე მიზნების შესაბამისად განხორციელებული აქტივობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: (1) ორგანიზაციების პირველი ჯგუფი ჩართული იყო სოციალური დახმარების სისტემის ადვოკატირებასა და ეკონომიკური პოლიტიკის მონიტორინგში, შესაბამისად, მათი მოქმედებები უფრო მეტად იყო დაკავშირებული პირველ მიზანთან; (2) ორგანიზაციების მეორე ჯგუფი ჩართული იყო საგანმანათლებლო საქმიანობაში და მიზნად ისახავდა ბენეფიციარების უნარების/შესაძლებლობების გამრავალფეროვნებას, რაც მათ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის საშუალებას აძლევდა; (3) ორგანიზაციების მესამე ჯგუფი უფრო მეტად კონცენტრირებული იყო სურსათის უვნებლობის საკითხებზე და საქართველოში სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით მუშაობდა სამთავრობო ინსტიტუტებსა და ფერმერებთან. ამ სამი ძირითადი ჯგუფის გარდა, ამ კვლევის შედეგად ასევე ზოგიერთი საინტერესო შემთხვევა გამოვლინდა. ჩვეულებრივ, ორგანიზაციები, რომლებსაც არ ჰქონდათ პირდაპირ მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული პროგრამები და რომელთა ფუნქციონირების სფერო არ იყო დაკავშირებული სურსათის უვნებლობასა და სოფლის მეურნეობასთან, მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას თავიანთი მთავარი ორგანიზაციული საქმიანობით უწყობდნენ ხელს, რაც ძირითადად სამთავრობო პოლიტიკის (ეკონომიკურ და სოციალური) მონიტორინგსა და ადვოკატირების კამპანიებს მოიცავდა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია, მოწყვლად ჯგუფებს შესთავაზონ უფასო პროფესიონალური სერვისები, რაც პირდაპირ უკავშირდება მათ დაცვასა და გაძლიერებას.

თუ თვისებრივმა კვლევამ მოახდინა აღნიშნული ანგარიშის ინფორმირება ორგანიზაციის კონტრიბუციის შინაარსზე, რაოდენობრივმა კვლევამ გაზომა პირველი და მეორე მიზნის ამოცანები და აქტივობები. შესაბამისად, მოიპოვა განზოგადებული ინფორმაცია ზემოთ ხსენებული ტრენდების მასშტაბსა და ინტენსივობაზე. თვისებრივი კვლევის დროს გამოვლენილ პირველ ტრენდთან დაკავშირებით, რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური პოლიტიკის მონიტორინგი და ადვოკატირება პირველი მიზნის ქვეშ განხორციელებული მესამე ყველაზე გავრცელებული აქტივობა იყო. შედეგების თანახმად, 106 გამოკითხული ორგანიზაციიდან 55-მა (51.9%) უპასუხა, რომ 2018-2020 წლებში ახორციელებდა სოციალური პოლიტიკის ადვოკატირებას და მონიტორინგის ღონისძიებებს (იხ დიაგრამა 1). გასათვალისწინებელია, რომ ამ 55 ორგანიზაციის ძალისხმევა ძალზე ძლიერი და მდგრადია, რადგან შემთხვევათა უმრავლესობაში ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტივობები რამდენჯერმე ან რეგულარულად ჩატარდა (85.5%).

**დიაგრამა 1.**

**სოციალურად დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა და გაძლიერება სოციალური პოლიტიკის ადვოკატირებისა და მონიტორინგის გზით**



რაოდენობრივი მონაცემების გარდა, თვისებრივ კვლევაში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია აქტივობების შინაარსის შესახებ. აღნიშნული ქვეთავის შემდგომი ნაწილი წარმოადგენს თვისებრივი კვლევის დროს გამოკითხული ორგანიზაციების აქტივობებს, რომლებიც პირველი მიზნის ქვეშ განხორციელდა.

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო (TI)** ორგანიზაციების პირველ ჯგუფში იყო. ორგანიზაცია ჩართულია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მონიტორინგსა და ადვოკატირებაში, რაც ირიბად ხელს უწყობს სიღარიბის აღმოფხვრას.

> *„ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც ჩვენ ვუყურებთ, არის სოციალური დახმარების სისტემა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის სამართლიანობა, რამდენად კეთილსინდისიერია სოციალური დახმარების დაგეგმვა და განხორციელება. რა თქმა უნდა, ჩვენ ანტიკორუფციული კუთხით ვაფასებთ... სოციალურ და ეკონომიკურ სისტემაში კორუფციის აღმოფხვრა პირდაპირ კავშირშია სიღარიბის აღმოფხვრასთან“.*
>
> ***საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო***

**ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის (EPRC)** მთავარი საქმიანობა  პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა და ხელისუფლებისთვის რეფორმებზე, პროგრამებსა და სხვა საკითხებზე რეკომენდაციების მიწოდებაა. ერთიანობაში, ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმების ადვოკატირება და ყველა მოქალაქის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაა.

**ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს (OSGF)** არ აქვს პირდაპირი ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები; თუმცა, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს და ადვოკატირებას უწევს უთანასწორობისა და უსახლკარობის აღმოფხვრის თემებს. რაც შეეხება OSGF-ის სხვა პროექტულ აქტივობებს, 2018 წლამდე ორგანიზაცია აფინანსებდა პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ქალთა გაძლიერებას და მეწარმეობის მხარდაჭერას. ამ დროისთვის ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობაა პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა და სახელმწიფოსთვის რეკომენდაციების შემუშავება.

ორგანიზაციების მეორე ჯგუფი უფრო აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო აქტივობებსა და მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის ტრენინგების ჩატარებაში. თვისებრივი კვლევების შედეგების თანახმად, პირველი და მეორე მიზნების ქვეშ განხორციელებული ტრენინგები უმეტესად მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ გაძლიერებას ემსახურებოდა მათთვის ბუღალტერიის, ბიუჯეტის მართვისა და მეწარმეობის საფუძვლების სწავლების გზით. ამ აქტივობების მიზანი მათი თვითდასაქმების ხელშეწყობა იყო. გარდა ამისა, ზოგიერთმა ორგანიზაციამ იგივე ჯგუფისთვის ჩაატარა ტრენინგები, რომელთა მიზანი მათთვის საგრანტო აპლიკაციების მომზადების სწავლება იყო. ხშირად მოწყვლად ჯგუფებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა და უნარები,  ჩაერთონ საგრანტო კონკურსებში ან მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში. არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთი შესაძლებლობებით სცადეს ამ ხარვეზის გამოსწორება და ხელი შეუწყეს სამიზნე ჯგუფის გაძლიერებას შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარების გზით.

> *„ორგანიზაციამ შეიმუშავა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს ასწავლოს მოსახლეობას ბიზნესის მართვა, საგრანტო წინადადების შედგენა, პროექტის განხორციელების ეტაპები. ეკონომიკის გაძლიერებისათვის ჩვენ ასევე გვაქვს მცირე საგრანტო პროგრამები. კერძოდ, ახალგაზრდებისთვის ორგანიზაციამ ჩაატარა ტრენინგები ბიუჯეტის მართვასა და მეწარმეობაზე“.*
>
> ***არასამთავრობო ორგანიზაცია***

რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოწყვლადი ჯგუფებისთვის უფასო საკონსულტაციო სერვისის მიწოდების შემდეგ, პირველი და მეორე მიზნების ქვეშ განხორციელებული მეორე ყველაზე გავრცელებული ღონისძიება სხვადასხვა თემატური ტრენინგების ჩატარება იყო. (იხ. დიაგრამა 2). სტატისტიკის მიხედვით, 106 ორგანიზაციიდან 56-მა (52.8%) სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისათვის ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ტრენინგები ჩაატარა; 56 გამოკითხული ორგანიზაციიდან 47-მა უპასუხა, რომ ეს აქტივობები ხორციელდებოდა ხშირად ან წარმოადგენდა რეგულარულ ღონისძიებებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციების უმრავლესობამ ტრენინგი ჩაუტარა 60-მდე ბენეფიციარს, თუმცა კვლევამ გამოავლინა შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციებმა მოახერხეს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ტრენინგები ჩაეტარებინათ 500-დან 1000-მდე, 1000-დან 5000-მდე ან 10 000-ზე მეტი ადამიანისთვის. ორგანიზაციების შედარებით მცირე ნაწილმა ტრენინგები სოფლის მეურნეობის თემატიკაზე ჩაატარა. 106 ორგანიზაციიდან მხოლოდ 24-მა უპასუხა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში ტრენინგები სოფლის მეურნეობის თემატიკაზე ჩაატარეს. 24 ორგანიზაციიდან 19-მა მიუთითა, რომ ტრენინგები ჩატარდა მრავალჯერ ან რეგულარულად, რაც ნიშნავს, რომ განხორციელებული აქტივობა მდგრადი იყო. სხვა ტრენინგების მსგავსად, 2018-2020 წლებში განხორციელებული აქტივობის მასშტაბები იყო 80 ინდივიდზე ნაკლები. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩართულობის დონეს შესაძლებელია მიეღწია 200-500 ან 4000-ზე მეტ ინდივიდამდე ორი წლის განმავლობაში, თუმცა, წინა აქტივობის მსგავსად, ეს არ იყო ძირითადი ტენდენცია.

**დიაგრამა 2.**

**მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების საშუალებით**




1-ელ, მე-2 და მე-8 მიზნებთან დაკავშირებული ხშირი აქტივობები იყო მოსახლეობისა და დაუცველი ჯგუფებისთვის მცირე საგრანტო პროგრამების შეთავაზება. რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა, არასამთავრობო ორგანიზაციები რამდენად სთავაზობდნენ მცირე გრანტების პროგრამებს საზოგადოებას და რა მასშტაბები ჰქონდა მას. რაოდენობრივი კვლევის დროს, 106 ორგანიზაციიდან 31-მა (29,2%) აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ მცირე საგრანტო პროგრამები სპეციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის (მიზანი 1). საგულისხმოა, რომ ამ აქტივობის სიხშირე, მერვე მიზნის ქვეშ განხორციელებულ აქტივობასთან შედარებით მაღალია. მერვე მიზნის ქვეშ განხორციელებულ აქტივობასთან დაკავშირებით, 106 ორგანიზაციიდან 27-მა (25,5%) განაცხადა, რომ მხარს უჭერს მეწარმეობის განვითარებას, ხოლო 24-მა (22,6%) აღნიშნა, რომ ხელს უწყობს სოციალური მეწარმეობის/საწარმოების განვითარებას; აღნიშნული ორივე აქტივობა ხორციელდება მცირე საგრანტო პროგრამების საშუალებით. შედეგების თანახმად, თითოეული ორგანიზაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში 20-ზე ნაკლებ მცირე საგრანტო პროექტს ახორციელებდა.

ეს ტენდენცია ეხება სამივე მიზანს და არ გამოვლენილა შემთხვევა, როდესაც აქტივობის მასშტაბი 20-ზე მაღალი იყო. მეორე მიზნის ქვეშ, 106 ორგანიზაციიდან 24-მა უზრუნველყო მცირე გრანტები ფერმერებისთვის (იხ. დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2018-2020 წლებში მცირე საგრანტო პროგრამების განხორციელება**




თვისებრივი კვლევის დროს, მცირე გრანტების პროგრამებთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი შემთხვევა გამოვლინდა, რომლებიც პირველი და მეორე მიზნების იმპლემენტაციას უკავშირდებოდა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა **(CSRDG)** ხელი შეუწყო პირველი მიზნის განხორციელებას სამი ძირითადი მიმართულებით: მომხმარებლის უფლებების დაცვა, ბიზნეს კომპანიებში **CSR** მიმართულების განვითარება და სოციალური საწარმოების მხარდაჭერა. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ეს სამი მიმართულება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებისთვის. ორგანიზაცია ცდილობს გადაჭრას ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც ბიზნესის პირდაპირ ინტერესს არ წარმოადგენს და მთავრობასაც არ აქვს მოგვარებისთვის საჭირო რესურსები. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი **(CENN)** აქტიურად მუშაობს გარემოს დაცვის საკითხებზე. ამასთან, ორგანიზაცია ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას შესაძლებლობების გაძლიერების გზით და თავიანთი ბიზნეს ინიციატივების დაფინანსების მიზნით მცირე გრანტების პროგრამებს სთავაზობს.

> *„ორგანიზაცია არ აკეთებს პირდაპირ აქცენტს სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრაზე, მაგრამ მას აქვს პროექტები სოფლებში, რომლებიც აფინანსებენ სხვადასხვა ინიციატივებს; გარდა ამისა, საგანმანათლებლო აქტივობებით მხარს უჭერს მოწყვლად ჯგუფებს, რაც ხელს უწყობს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას“.*
>
> ***CENN***

**SDG**-ის მეორე მიზანი შიმშილის აღმოფხვრაა. თვისებრივი კვლევის დროს, სხვადასხვა ორგანიზაციების რესპონდენტებმა განიხილეს საქართველოში სურსათის უვნებლობის სტანდარტების განვითარების მიმართულებით თავიანთი ღონისძიებები. ორგანიზაციები ძირითადად ორი სახის აქტივობებს განიხილავდნენ: (1) სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ფერმერებთან/მთავრობასთან თანამშრომლობა; (2) სხვადასხვა

პროდუქტის ლაბორატორიული შემოწმება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების გაწევა. კვლევის ეს მიგნებები გაიზომა რაოდენობრივი კვლევის დროს. კვლევის შედეგებით, 106 ორგანიზაციიდან 20-მა (18,9%) უპასუხა, რომ თანამშრომლობდა მთავრობასთან სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესებისა და ფერმერთათვის შესაბამისი ცვლილებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით (იხ. გრაფიკი 3). გარდა ამისა, ორგანიზაციების უმრავლესობამ უპასუხა, რომ მათ ღონისძიებებს ხშირი ან რეგულარული ხასიათი ჰქონდა. ამავე მიზნის მეორე აქტივობასთან დაკავშირებით, 106 ორგანიზაციიდან 11-მა (10,4%) უპასუხა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა პროდუქტის ლაბორატორიული ტესტირება ჩაატარეს. აღნიშნული 11 ორგანიზაციიდან 5-მა უპასუხა, რომ მსგავსი აქტივობა განხორციელდა რამდენჯერმე ან რეგულარულად, ხოლო 6-მა ორგანიზაციამ უპასუხა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ჩაატარეს მსგავსი სახის აქტივობა (იხ. ცხრილი 1).

**დიაგრამა 4.**

**მეორე მიზნის განხორციელების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის საკითხებზე მუშაობის გზით**




**ცხრილი 1.**

**მეორე მიზნის განხორციელების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის საკითხებზე მუშაობის გზით**

| დებულებები: | ღონისძიებების სიხშირე ბოლო ორი წლის განმავლობაში | | |
|---|---|---|---|
| | ერთხელ | რამდენჯერმე | რეგულარულად |
| მთავრობასთან თანამშრომლობა სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით. | 35 % | 35 % | 30 % |
| ფერმერებთან თანამშრომლობა სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით. | 30 % | 50 % | 20% |
| სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესება სხვადასხვა პროდუქტის/ ნივთის ლაბორატორიული შემოწმებითა და შედეგებზე წარმოებული ადვოკატირებით. | 54.5 % | 36.4 % | 9.1 % |

აღნიშნული თავის დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს თვისებრივ კვლევაში ჩართული ორგანიზაციების აქტივობების საუკეთესო მაგალითებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეორე მიზნის განხორციელებაში.

## საუკეთესო პრაქტიკა

### CIDA/GCNG-ს ძალისხმევა სოფლის განვითარებაში

2018-2020 წლებში **CIDA/GCNG**-მ განახორციელა პროექტები, რომლებიც პირდაპირ ემსახურება სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრის მიზნებს. კერძოდ, ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ფერმერებს, აგრეთვე ქალ და ახალგაზრდა მეწარმეებს თავიანთ საქმიანობაში. გარდა ამისა, **CIDA/GCNG**-მ ჩაატარა საჯარო დისკუსიები საქართველოში სოფლის განვითარების საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოების პრიორიტეტების გაგების მიზნით  და წვლილი შეიტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2021-2027-ის შემუშავებაში. საქართველოს ხუთ რეგიონში **CIDA/GCNG**-მ შეკრიბა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, **LAG**-ები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი და ერთად განიხილეს სოფლის განვითარების კუთხით არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები. დისკუსიის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია სოფლებში მიმდინარე და დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამების შესახებ. შეხვედრის დროს ასევე გამოიკვეთა ადგილობრივი ინსტიტუტებისა და საზოგადოების როლი, განვითარების პრიორიტეტების როგორც განსაზღვრაში, ისე პროცესის მხარდაჭერასა და მონიტორინგში. შეხვედრის დროს განიხილეს სხვა საკითხებიც:  ეკონომიკური და დასაქმების შესაძლებლობები, ადგილობრივი ბიზნესის განვითარება, ასევე გარემოს და ბუნებრივი რესურსების ეფექტური დაცვა. პროექტის ბოლოს **CIDA/GCNG**-ის თანამშრომლებმა მოამზადეს ადვოკატირების სახელმძღვანელო სოფლისა და ინკლუზიური განვითარებისთვის.

სიღრმისეული ინტერვიუს დროს საგზაო უსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაციამ აღნიშნა მათ მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის ფარგლებშიც საკვებსა და საბავშვო სათამაშო პროდუქტებში ტყვიის შემადგენლობის გაზომვა მოახერხეს. შედეგებზე დაყრდნობით, ორგანიზაცია კონსულტაციებს გადიოდა სამთავრობო ინსტიტუტებთან და შედეგად ზოგიერთი პროდუქტი ბაზრიდან ამოიღეს. ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი განაგრძობენ სურსათის უვნებლობის საკითხებზე მუშაობას.

*„2018 წელს ჩვენ გვქონდა კვლევა, რომელმაც გაზომა ტყვიის შემადგენლობა გარემოსა და საკვებ პროდუქტებში.  კვლევა ჩატარდა სუფთა ჰაერის კამპანიის ფარგლებში... ჩვენ შევაფასეთ ტყვიის შემადგენლობა საკვებში, სანელებლებსა და სათამაშოებში... ვიმუშავეთ სახელმწიფო ინსტიტუტებთან, შევქმენით სამუშაო ჯგუფები და ახლაც ამ მიმართულებით ვმუშაობთ.  კვლევის შედეგად, ზოგიერთი პროდუქტის წარმოება აიკრძალა“.*

***საგზაო უსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაცია***

**საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, USAID**-ის „**Zrda Activity in Georgia**“ პროექტის მხარდაჭერით, **GeoGAP** სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტებისათვის (თავდაპირველად ხილისა და ბოსტნეულისათვის) ადგილობრივი სტანდარტი შეიმუშავა. **COVID-19** პანდემიის დროს, **GFA**-მ დაიწყო მოლაპარაკებები სადისტრიბუციო კომპანიებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ფერმერებისგან აგრარული პროდუქტების შესყიდვის თაობაზე.

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს (CSRDG)** აქვს სამი ძირითადი მიმართულება, რომლებიც პასუხისმგებელია მეორე მიზნის განხორციელებაზე: თემის განვითარების პროგრამა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამა და სოციალური მეწარმეობის პროგრამა. (1) თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში, **CSRDG**-მ განახორციელა პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს სოფლად მცხოვრებ თემებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის განვითარებაში. ორგანიზაცია სთავაზობს სხვადასხვა ტიპის მომსახურებებს, რომლებიც მორგებულია კონკრეტული თემის საჭიროებებზე. ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს შეიძლება სხვადასხვა მიზნები ჰქონდეს, მათ შორის შესაძლებლობების განვითარება, სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ფერმერებისთვის აღჭურვილობის შესყიდვა. პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაციამ 2017 წელს ორი პროექტი განახორციელა; კერძოდ, „ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისთვის ქედის მუნიციპალიტეტში“ და „მაღალმთიან დასახლებებში მეწარმეობის ხელშეწყობის გზით თვითმმართველობების განვითარება“. ორივე მათგანი პირდაპირ ემსახურება **SDG**-ის მეორე მიზანს. (2) მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაციამ ჩაატარა სხვადასხვა სახის სემინარი, ტრენინგები და სურსათის უვნებლობისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ საინფორმაციო ბროშურები დაბეჭდა. პროგრამის ფარგლებში **CSRDG**-მ შექმნა ონლაინ პლატფორმა - **momxmarebeli.ge** - სადაც სურსათის უვნებლობის სტანდარტებისა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციაა განთავსებული. 2019 წლიდან ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს „საქართველოში პროდუქტის უვნებლობის დონის ამაღლება“, რომლის ფარგლებში **CSRDG** კონკრეტულ პროდუქტებზე ლაბორატორიულ შემოწმებას ატარებდა და კონკრეტული გადაწყვეტილებების ადვოკატირებას ახდენდა. გარდა ამისა, **CSRDG**-მ ამ პროექტების საშუალებით ხელი შეუწყო ევროკავშირის ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას და ასოცირების შეთანხმების განხორციელებას. (3) მეორე მიზნის მე-3 სვეტი სოციალური მეწარმეობაა. ამ პროგრამის ფარგლებში ორგანიზაცია ეკონომიკური დახმარებით უმძიმესი სოციალური პრობლემების გადაჭრას ცდილობს და ხელს უწყობს სიცოცხლისუნარიანი სოციალური საწარმოების შექმნას.

## ბ) ჯანდაცვის სისტემა

**SDG**-ის მესამე მიზანი არის ხელმისაწვდომი ჯანდაცვა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთი მანდატისა და სამუშაო მიმართულებების შესაბამისად, განახორციელეს სხვადასხვა აქტივობა, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უწყობს ხელს ამ მიზნის განხორციელებას.

თვისებრივმა და რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა რამდენიმე მიგნება, რომლებიც ასახავს მდგრადი განვითარების მესამე მიზნის ქვეშ განხორციელებულ კონტრიბუციას. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, ამ მიზნის ფარგლებში ყველაზე გავრცელებული აქტივობა ჯანსაღი ცხოვრების წამახალისებელი აქტივობების ორგანიზება იყო; 106 გამოკითხული ორგანიზაციიდან 54-მა (50.9%) აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჯანსაღი ცხოვრების წამახალისებელი ღონისძიებები განახორციელეს (იხ. დიაგრამა 5). მეორე ყველაზე გავრცელებული აქტივობა თანამშომლებისა და მათი ოჯახებისთვის კორპორატიული დაზღვევის სისტემის შეთავაზება იყო. შედეგების თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 32-მა (30,2%) თავიანთ თანამშრომლებს მსგავსი სერვისები მიაწოდა. მესამე გავრცელებული აქტივობა ქალთა ჯანმრთელობასა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული პროექტებისა და პროგრამების განხორციელება იყო. სტატისტიკის თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 31-მა (29,2%) განახორციელა ამგვარი აქტივობა და უმეტეს შემთხვევაში ღონისძიება მრავალჯერადი ან რეგულარული იყო (77,5%). ზემოაღნიშნულ აქტივობას 2018-2020 წლებში მეტ-ნაკლებად მუდმივი სახე ჰქონდა და მიაკვლიეს სხვადასხვა ბენეფიციარს, რომელთაც ესაჭიროებოდათ ასეთი ძალისხმევა. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, თითოეული ორგანიზაციის საქმიანობაში საშუალოდ 25-100 ადამიანი იყო ჩართული. ცალკეულ შემთხვევებში საქმიანობის გაშუქება თითოეული ორგანიზაციის მიერ 1500-დან 5000 ინდივიდამდე მერყეობდა. 2018-2020 წლებში ქალთა ჯანმრთელობასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განხორციელებული აქტივობები მეტნაკლებად პერმანენტული იყო და მრავალი ბენეფიციარი მოიცვა, რომლებსაც მსგავსი სერვისები ესაჭიროებოდათ. შემთხვევათა უმრავლესობაში, თითოეული ორგანიზაცია ამ აქტივობის ქვეშ ფარავდა 25-დან 100-მდე ინდივიდს. ზოგიერთ ინდივიდუალურ შემთხვევაში კი აქტივობების მასშტაბი 1500 და 5000 ინდივიდამდე იზრდებოდა.

**დიაგრამა 5.**

**არასამთავრობო სექტორში მესამე მიზნის ქვეშ განხორციელებული ყველაზე ხშირი აქტივობები**



ამ სამი ძირითადი საქმიანობის გარდა, თვისებრივი კვლევის შედეგები უფრო მეტ ინფორმაციას გვაძლევს სხვა სახის კონტრიბუციის შესახებაც. კვლევის შედეგების თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 17-მა (16%) მესამე მიზნის განხორციელებას ხელი შეუწყო დამოკიდებულებების მქონე ადამიანების რეაბილიტაციაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებით (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები) (იხ. დიაგრამა 6); უმეტეს შემთხვევაში ასეთი აქტივობები მრავალჯერადი ან რეგულარული იყო. 106 ორგანიზაციიდან 15-მა (14,2%) აღნიშნა, რომ მესამე მიზნის განხორციელებას ხელი შეუწყო სხვადასხვა ინფექციური დაავადებების (აივ, ტუბერკულოზი და ა.შ) მქონე პირების მდგომარეობის შემსუბუქებასა და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული აქტივობების გზით (შიდსი, ტუბერკულოზი, ა.შ). შემთხვევათა უმრავლესობაში აქტივობები მრავალჯერადი ან რეგულარული იყო. რაც შეეხება მასშტაბს, აქტივობები ყველაზე ხშირად მოიცავდა 50-100 ინდივიდს ერთ ორგანიზაციაზე. საგულისხმოა, რომ რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა სამი შემთხვევა, როდესაც აქტივობებმა მოიცვა 600-7000, 6000 და 30 000-ზე მეტი პირი. 106 ორგანიზაციიდან 13-მა (12,3%) აღნიშნა, რომ მესამე მიზნის განხორციელებას მხარი დაუჭირეს საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების წახალისებითა და საგზაო შემთხვევების შემცირებაზე ორიენტირებული აქტივობების ჩატარების გზით. ამ ამოცანის ქვეშ განხორციელებული აქტივობები უმეტესად ერთეული კამპანიები იყო, რომლებსაც არ მოჰყვებოდა გაგრძელება. თუმცა, უმრავლეს შემთხვევებში ერთეული კამპანიები ერთ ორგანიზაციაზე 30-50 ინდივიდს მოიცავდა. ორი ორგანიზაციის შემთხვევაში გამოვლინდა, რომ აქტივობის მასშტაბის 3000-3500 ინდივიდი იყო ერთ ორგანიზაციაზე.

**დიაგრამა 6.**

**არასამთავრობო სექტორში მესამე მიზნის ქვეშ განხორციელებული ყველაზე ხშირი აქტივობები**



**ქვემოთ წარმოდგენილია თვისებრივი კვლევის დროს გამოკითხული ორგანიზაციების შემთხვევები.**

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო** მესამე მიზნის განხორციელებას ხელს ძირითადი ორგანიზაციული საქმიანობით უწყობს. კერძოდ, ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს მთავრობის ჯანდაცვის პოლიტიკას, ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის განხორციელებასა და მის პრაქტიკას, ასევე აკვირდება ჰოსპიტალური სექტორის ფუნქციონირებას, სადაზღვევო და ფარმაცევტული ბიზნესების საქმიანობას, ადვოკატირებისა და პოლიტიკის სამართლიანობას და ინკლუზიურობას. რაც შეეხება კვლევით საქმიანობას, მისი მიზანია ამჟამინდელი ბიზნეს პრაქტიკების პირობებში სერვისებსა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის შეფასება.

*„2011 წელს ჩვენ გამოვიკვლიეთ სადაზღვევო სექტორი, ფარმაცევტული ბაზარი და ჰოსპიტალური სექტორი. კვლევამ შეაფასა, იყო თუ არა შესაძლებელი კარტელური გარიგებები ფარმაცევტულ ბაზარზე. კვლევის მიზანი იყო კონკურენციის შესაძლო ბარიერების დადგენა. მსგავსი დაბრკოლებები სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტებს მოქალაქეებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის“.*

**OSGF** ორგანიზაციას ოფისში სავარჯიშო დარბაზი აქვს და თანამშრომლებისთვის იოგის სესიების ჩატარების მიზნით კვირაში სამჯერ დარბაზში იოგის ტრენერი მიდის. საგზაო უსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაციამ განახორციელა აქტივობები, რომლებიც აერთიანებს გარემოსდაცვით და ჯანსაღი ცხოვრების მიმართულებებს. ორგანიზაციამ დაგეგმა ღონისძიებები, რომლებიც პოპულარიზაციას უწევს ამ ორი მიზნის მიღწევას ქართულ საზოგადოებაში. ამ აქტივობების სამიზნე ჯგუფები ხშირად არიან სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები.

*„ჩვენ ყოველწლიურად ვაწყობთ საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს და აღვნიშნავთ გლობალურ დღეებს. მაგალითად, მანქანის გარეშე დღეს. ვფიქრობთ, ეს კარგი აქტივობაა, რომელიც ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღ წესს ... ჩვენ ასევე გვაქვს სხვა ღონისძიებები, როგორიცაა დედამიწის დღე, სუფთა ჰაერის დღე და ა.შ. ავტომობილის გარეშე დღის ფარგლებში ჩვენ გვაქვს დედაქალაქში მსვლელობები, ველოსიპედებით დავდივართ ქალაქის კონკრეტულ ადგილებში“.*

***საგზაო უსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაცია***

საუკეთესო პრაქტიკა

## ასოციაცია ჰერა-XXI-ის ძალისხმევა რეპროდუქციულ და ქალთა ჯანმრთელობის საკითხებზე

თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა რამდენიმე ორგანიზაციამ მიიღო, რომლებიც სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობდნენ. ერთ-ერთი მონაწილე ორგანიზაცია ასოციაცია ჰერა-XXI იყო, რომელიც მუშაობს გენდერული თანასწორობისა და ქალთა ჯანმრთელობის საკითხებზე. ორგანიზაცია მუშაობს სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან და მხარს უჭერს ქალთა ჯანდაცვის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და გენდერულ თანასწორობას. ორგანიზაცია აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე და მრავალ დაინტერესებულ მხარესთან მუშაობს სხვადასხვა დონეზე. სამუშაოები ხორციელდება როგორც ოფიციალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სკოლებთან და ტრენინგებს უტარებს ახალგაზრდებს და მასწავლებლებს. ისინი ასწავლიან მასწავლებლებს, თუ როგორ უნდა მიაწოდონ მოსწავლეებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, ორგანიზაცია ახორციელებს „თანაბარი განმანათლებლის პროექტს“, რომელიც აერთიანებს გადამზადებულ მოხალისეებს, რომლებიც თანატოლებს შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ. იგივე ორგანიზაცია არა მხოლოდ პროექტებსა და საგანმანათლებლო საქმიანობას უზრუნველყოფს, არამედ მომსახურებას უწევს საკუთარ ბენეფიციარებს. კერძოდ, ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით, ბენეფიციარებს უფასო პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციებს სთავაზობდა. ამ აქტივობის სამიზნე ჯგუფი ძირითადად ახალგაზრდები არიან, მაგრამ ამ სერვისით სარგებლობა ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია. რესპონდენტის მიერ გაზიარებული ინფორმაციის მიხედვით, საკონსულტაციო სამსახური სულ უფრო პოპულარული ხდება ახალგაზრდებში, რადგანი ისინი პასუხს დამატებითი ხარჯების გარეშე იღებენ და კონფიდენციალურობის დაცვის გამო თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. მესამე მიზნის განხორციელების ფარგლებში, ორგანიზაცია სხვადასხვა რეგიონში პარტნიორ საავადმყოფოებთან თანამშრომლობს და მათ თანამშრომლებს ეროვნული გაიდლაინების შესაბამისად ატრენინგებს. ამ საქმიანობის სამიზნე ჯგუფები გინეკოლოგები და ოჯახის ექიმები არიან. პროგრამის ფარგლებში ორგანიზაციის წარმომადგენლები სპეციალისტებს კონსულტაციის ტექნიკებს ასწავლიან. უფრო მეტიც, ორგანიზაციას აქვს დამატებითი ტრენინგები ოჯახის ექიმებისთვის ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ორგანიზაცია ახორციელებს კვლევებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და აქტიურად მუშაობს რეგიონულ დონეზე. კერძოდ, ისინი თანამშრომლობენ ადგილობრივ მთავრობებთან და ადვოკატირებას უწევენ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს მუნიციპალიტეტის დონეზე.

## გ) განათლება

მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანი ხარისხიანი განათლებაა. ამ მიზნის განხორციელების მხრივ, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა შეიმუშავა შემდგომი ამოცანები, რომლებიც მიზნის პრაქტიკაში გადმოსატანად ძალიან მნიშვნელოვანია:

- *საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების ხელშეწყობა;*
- *თანამშრომელთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;*
- *ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სერვისების შექმნა;*
- *ფინანსური განათლების ხელშეწყობა;*
- *ახალგაზრდების პროფესიული უნარების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა.*

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციებში ხარისხიანი განათლება ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესრულებული მიზანი იყო. თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ განახორციელეს საგანმანათლებლო აქტივობები. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დროს, მიგნებები გაკეთდა ორი ძირითადი მიმართულებით: (1) მეოთხე მიზნის ქვეშ განხორციელებული აქტივობები ნაწილობრივ კვეთდა პირველი, მეორე და მერვე მიზნების ამოცანებს, რადგან სწავლების პროცესის საბოლოო მიზანი ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის გაძლიერება და მეტი ეკონომიკური ზრდის მიღწევა იყო. ამგვარად, სხვა მიზნების ქვეშ განხილული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და ტრენინგები, პირდაპირ ან ირიბად ხელს უწყობდნენ მეოთხე მიზნის განხორციელებასაც.

> *„ჩვენ გვაქვს პროექტი, რომელიც მხარს უჭერს პროფესიულ განათლებას, ავითარებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას და ხელს უწყობს კონკრეტულად მეოთხე მიზნის განხორციელებას. ჩვენ პროფესიული განათლების მიღებაში დავეხმარეთ პატიმრობაში მყოფ პირებს. პენიტენციალურ სისტემებში აშენდა სათბურები, სადაც პატიმრებს ყვავილები მოჰყავთ, რომელსაც ყიდიან და თანხა უბრუნდება მათ. აღნიშნული პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია სიდასთან ერთად ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა. ჩვენ ვატარებთ ფერმერების გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა სფეროებიდან შეირჩა 150 ქალი ფერმერი, რომელთაც ჩავუტარეთ სხვადასხვა ტრენინგები, მაგალითად, ბიზნეს წინადადებების წერა, ბიზნესის მენეჯმენტი, ტექნიკური უნარები და სხვა...“*
>
> ***საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA)***

(2) თვისებრივი კვლევის დროს გამოკითხული ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ ისინი ატარებდნენ საგანმანათლებლო აქტივობებს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე გარეთ. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ყველაზე დიდი ნაწილი მეტად ორიენტირებულია თავიანთი თანამშრომლების განვითარებაზე გარე შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებებსა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებთან შედარებით. 106 ორგანიზაციიდან 60-მა (56.6%) აღნიშნა, რომ თანამშრომლებს მისცეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და დაუფინანსეს კურსები, რომლებიც პასუხობდა მათ საჭიროებებს. (იხ დიაგრამა 7). აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა 80%-ში მსგავსი საქმიანობა განხორციელდა მრავალჯერადად ან რეგულარულად; შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს აქტივობა არასამთავრობო ორგანიზაციებში დამკვიდრებული პრაქტიკაა. რაც შეეხება აქტივობების მასშტაბს, ერთ ორგანიზაციაში ბოლო ორი წლის განმავლობაში გადამზადდა არაუმეტეს 10 თანამშრომელი. ცალკეულ შემთხვევებში აქტივობის მასშტაბები ერთ ორგანიზაციაში 500 ან 1000 ინდივიდამდეც აღწევდა. გარე საგანმანათლებლო და შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, გამოკითხული 106 ორგანიზაციიდან 49-მ (46,2%) აღნიშნა, რომ მათ ბოლო ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების ირგვლივ სხვადასხვა თემატური ტრენინგები ჩაატარეს.

გარდა ამისა, გამოკითხული ორგანიზაციების 87.8% აღნიშნავდა, რომ შესაბამისი აქტივობები ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ან რეგულარულად ჩატარდა. შემთხვევათა უმრავლესობაში, ასეთი ტრენინგები მოიცავდა არაუმეტეს 12 ან 25-50 ინდივიდს ერთ ორგანიზაციაში. სამმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მათი აქტივობების მასშტაბი ბოლო ორი წლის განმავლობაში 1000-2000 ინდივიდი იყო, ხოლო ერთმა ორგანიზაციამ ტრენინგებში დაახლოებით 10 000 ინდივიდის ჩართულობა დააფიქსირა.

თვისებრივი კვლევის დროს, რამდენიმე ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მეოთხე მიზნის განხორციელების თვალსაზრისით ბიზნეს და მედია სექტორებთან თანამშრომლობის გამოცდილება ჰქონდათ და მათთვის სხადასხვა თემატური ტრენინგი ჩაუტარებიათ. რაოდენობრივმა კვლევამ გაზომა აღნიშნული პრაქტიკა; შედეგების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით გამოკითხული 106 ორგანიზაციიდან 17-მა (16%) ჩაატარა თემატური ტრენინგი ბიზნესის სექტორისთვის თავიანთი არასამთავრობო ორგანიზაციის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების ირგვლივ (იხ. დიაგრამა 7). მსგავსი ტრენინგები მედიის წარმომადგენლებისთვის 106 ორგანიზაციიდან 23-მა (22%) ჩაატარა (იხ. დიაგრამა 7). მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლები არაა ძალიან მაღალი, კვლევის შედეგები მიუთითებს განხორციელებული ძალისხმევის მდგრადობაზე. შედეგების მიხედვით, ორგანიზაციების უმრავლესობა მრავალჯერადად ან რეგულარულად ატარებდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს ბიზნეს და მედია სექტორებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ ბიზნეს სექტორისათვის განხორციელებულ აქტივობებს ბევრად დიდი მასშტაბი ჰქონდა, ვიდრე მედიის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ტრენინგებს. მონაცემების მიხედვით, შემთხვევათა უმრავლესობაში ბიზნეს სექტორთან ჩატარებული ტრენინგები მოიცავდა დაახლოებით 20-100 პირს თითო ორგანიზაციაზე, ხოლო მედიასთან ჩატარებული ტრენინგები ყველაზე ხშირად მოიცავდა 25-50 წარმომადგენელს თითოეულ ორგანიზაციაზე. რაოდენობრივი კვლევის დროს, ერთმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ დაახლოებით 5000 ინდივიდი ჩართო ბიზნეს სექტორისთვის ჩატარებულ ტრენინგებში, რაც ამ აქტივობის ქვეშ დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ინდიკატორია; იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებმაც ტრენინგები ჩაუტარეს მედიას, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 5000 ინდივიდს აღწევდა.

**დიაგრამა 7.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მეოთხე მიზნის განხორციელებაში**



თვისებრივი კვლევის დროს გამოკითხულ არასამთავრობო ორგანიზაციებში დაფიქსირდა რამდენიმე გამორჩეული შემთხვევა და წვლილი. ამ ქვეთავის დარჩენილი ნაწილი მიზნად ისახავს ამ ორგანიზაციების ძალისხმევის წარმოდგენას და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას.

**საუკეთესო პრაქტიკა**

### CIDA/GCNG-ის მიერ მეოთხე მიზნის ფარგლებში განხორციელებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები

**CIDA/GCNG**-მ ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა აქტივობებით ხელი შეუწყო მეოთხე მიზნის განხორციელებას. (1) საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტების მცხოვრებლებთან ორგანიზაციამ ჩაატარა ტრენინგები ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ინსტრუმენტებზე, მარკეტინგის სტრატეგიებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდასა და მათ ეკონომიკურ გაძლიერებას. (2) **CIDA/GCNG**-მ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ფერმერებს ჩაუტარა ტრენინგები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ **(DCFTA)**. ტრენინგების დროს ფერმერებმა მიიღეს ინფორმაცია **DCFTA**-ს შესახებ და მიიღეს განათლება პირველადი წარმოების ევროპულ სტანდარტებზე, ასევე სურსათისა და სოფლის მეურნეობის სტანდარტებზე. (3) საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით, ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებით მეტი ტრენინგი ჩატარდა აგრომეწარმეებისათვის. პროგრამის მიზანი იყო სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე მეწარმეების წახალისება, რომ საჭიროებების შესაბამისად, გამოევლინათ მათთვის შესაფერისი ფინანსური პროდუქტები და მიეღოთ სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები. ტრენინგის დროს ფერმერებს გააცნეს ბიზნესის მართვის სპეციფიკური ინსტრუმენტები და ასწავლეს ბიზნესის მოკლევადიანი ან გრძელვადიანი საჭიროებებისა და მათი კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის ტექნიკები. (4) პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, **CIDA/GCNG**-მ ჩაატარა კვლევა კანონმდებლობასთან კონფლიქტში მყოფი ან კრიმინალური წარსულის მქონე პირთათვის პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროგრამების ეფექტურობაზე. ამ კვლევის მიზანი იყო ამ მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების ეფექტურობის შეფასება. კვლევა მიმოიხილავდა საქართველოს შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, პროფესიული განათლების ამჟამინდელ მდგომარეობას და მიმდინარე რეფორმებს (მათ შორის, დუალური განათლება და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება), ასევე არსებულ დასაქმების პროგრამებს. (5) ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი, რომელიც მხარს უჭერს ქალი მეწარმეების ფინანსურ განათლებას და განვითარებას. (6) საქართველოში კორპორაციული მდგრადობის საკითხების პოპულარიზაციისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ორგანიზაციამ წამოიწყო კორპორაციული მდგრადობის აკადემია, რომელიც დაინტერესებულ პირებს სერთიფიცირებულ კურსებს შესთავაზებს; **CS** აკადემიამ 2019 წელს უკვე ჩაატარა პირველი საპილოტე სერტიფიცირების კურსი.

*„საგანმანათლებლო პროგრამებში ბენეფიციარების ჩართულობის მოტივაცია დაბალია იმ ფაქტორების გამო, როგორიცაა ბენეფიციარების შიში სწავლისა და სწავლების პროცესის მიმართ, რომელიც მომდინარეობს ზოგადი განათლების, დასაქმების შესაძლებლობების და პენიტენციალური სისტემისადმი ნდობის ნაკლებობიდან. ყოფილი პატიმრების სოციალური სტიგმა დასაქმების მხრივ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს; დამსაქმებელთა უმეტესობას არ სურს დაასაქმოს კრიმინალური წარსულის მქონე პირი, მიუხედავად მისი პროფესიისა და კვალიფიკაციისა“.*

***CIDA/GCNG***

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ** აღნიშნა, რომ ისინი ზოგჯერ თანამშრომლობენ აკადემიურ დაწესებულებებთან. თანამშრომლობის მიზანია სტუდენტებისთვის ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებების ირგვლივ, როგორიცაა მმართველობა და ანტიკორუფციული პოლიტიკა, საჯარო სემინარების ჩატარება. აკადემიური ინსტიტუტების გარდა, საერთაშორისო გამჭვირვალობა თანამშრომლობდა მედიასა და ბიზნესის სექტორებთანაც. კერძოდ, მათ ტრენინგები ჩაუტარეს მედია სექტორის წარმომადგენლებს. ორგანზიაციას აქვს ასევე ბიზნესთან თანამშრომლობის გამოცდილებაც. ამ კუთხით, მათ ტრენინგები ჩაუტარეს ბიზნეს სექტორის ზოგიერთ წარმომადგენელს კორუფციის რისკებისა და ანტიკორუფციული მექანიზმების შესახებ. სხვა ორგანიზაციების მსგავსად, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო სტუდენტებს სტაჟირების გავლის შესაძლებლობებს სთავაზობს.

სოციალური მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში, **CSRDG** თანამშრომლობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და შემოიღო ახალი კურსი - სოციალური მეწარმეობა. აღნიშნული თანამშრომლობის მიზანი საქართველოში სოციალური მეწარმეობის სფეროს პოპულარიზაცია და განვითარება იყო. გარდა ამისა, თანამშრომლობის ფარგლებში გამოიცა სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო და რამდენიმე სხვა პუბლიკაცია.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა **(IDFI)** მეოთხე მიზნის განხორციელებას ხელი ორგანიზაციის შიდა და გარე საქმიანობების განხორციელების გზით შეუწყო; კერძოდ, ორგანიზაცია თანამშრომლებისთვის ქმნის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ატარებს ტრენინგებს. ამასთანავე, იგივე ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ისინი ახალგაზრდებს სთავაზობენ სტაჟირების შესაძლებლობებს, რომელიც მათ საშუალებას აძლევთ ერთდროულად მიიღონ ცოდნა და გამოცდილება. რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ისინი მხარს უჭერენ უნარების გამრავალფეროვნებას და ახალგაზრდების ცოდნის გაძლიერებას სტაჟირების შესაძლებლობების შეთავაზებით.

*„ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან... ჩავატარეთ ტრენინგები ჟურნალისტებისთვის... კორუფციის პრევენციის შესახებ გვქონდა ტრენინგები ბიზნესისთვის... ვაცხადებთ სტაჟირების პროგრამებს სამ თვეში ერთხელ... სტაჟირების დასრულების შემდეგ გავცემთ სერტიფიკატს“.*

***საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო***

*„გვაქვს სტაჟირების პროგრამები და ხშირად სტაჟიორები სრულ განაკვეთზე სამუშაოდ რჩებიან ჩვენთან. ხშირად გვაქვს ტრენინგები ჟურნალისტებისთვის, სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის იმ თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს მთავარ სტრატეგიულ მიმართულებებთან ...“*

***IDFI***

# II. ეკონომიკური ზრდა

## ა) ენერგიის ხელმისაწვდომობა და გარემო

მდგრადი განვითარების მეშვიდე მიზანი განახლებადი ენერგიაა. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, მდგრადი განვითარების ეს მიზანი არ წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაციების პირდაპირ ფოკუსს, თუმცა თვისებრივი კვლევის შედეგებმა ამ მიმართულებით განვითარებული ტენდენციები წარმოაჩინა. თვისებრივი შედეგების მიხედვით, კვლევისას მეშვიდე მიზნის იმპლემენტაციის სამი ძირითადი მოდელი გამოვლინდა: (1) ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობები, (2) ენერგოეფექტურობის პოლიტიკის ადვოკატირება და მონიტორინგი და (3) სუფთა ენერგიის წყაროების გამოყენების წახალისება ორგანიზაციების ოფისებში. რაოდენობრივი კვლევის დროს გაიზომა აღნიშნული მოდელები. შედეგების მიხედვით, მეშვიდე მიზნის განხორციელების თვალსაზრისით, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ყველაზე გავრცელებული აქტივობა ტექნიკური სპეციალისტების გადამზადებასა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება იყო. შედეგების თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 22-მა (21%) განახორციელა შესაძლებლობების განვითარების აქტივობები (იხ. დიაგრამა 8). აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციების 45% აღნიშნულ აქტივობას ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგულარულად ან მრავალჯერადად ახორციელებდა, ხოლო 55%-მა აღნიშნა, რომ მათ მიერ განხორციელებული ღონისძიება ერთჯერადი იყო და არ მოჰყოლია გაგრძელება. რაც შეეხება აქტივობების მასშტაბებს, ორგანიზაციების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათმა პროექტებმა 50-100 ინდივიდი მოიცვა. ამ ზოგადი ტენდენციის გარდა, ორმა გამოკითხულმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მათი საქმიანობა საკმაოდ მასშტაბური იყო და ბოლო ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 2000-5000 ინდივიდი მოიცვა. ამ მიზნის ქვეშ განხორციელებული მეორე ყველაზე გავრცელებული აქტივობა ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული პოლიტიკის ადვოკატირება იყო. შედეგების თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 15-მა (14%) თავისი წვლილი შეიტანა პოლიტიკის ადვოკატირების გზით. ორგანიზაციების უმრავლესობამ (66,7%) აღნიშნა, რომ მათი საქმიანობა ხორციელდებოდა მრავალჯერ ან რეგულარულად. გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ 33.3%-მა აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული პოლიტიკის ადვოკატირება მხოლოდ ერთხელ განახორციელეს. ამ მიზნის მესამე და ყველაზე ნაკლებად გავრცელებული აქტივობა ოფისებში სუფთა ენერგიის წყაროების (ბუნებრივი აირის ჩანაცვლება მზის ან ელექტროენერგიით) გამოყენების წახალისება იყო. ორგანიზაციების მხოლოდ 8.5% -მა დააფიქსირა ამ პრაქტიკის გამოყენება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ თავიანთ ოფისებში სუფთა ენერგიის გამოყენების პრაქტიკის დანერგვის სურვილი ბევრ ორგანიზაციას აქვს. **IDFI**-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ოფისებს ბინებსა და ბიზნეს ცენტრებში ქირაობენ. იმ შემთხვევაში, თუ მათ ოფისები კერძო სახლებში ექნებათ, შესაძლებელი იქნება ოფისებში ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენებაც, როგორიცაა მზის პანელები.

**დიაგრამა 8.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მერვე მიზნის განხორციელება**




უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივმა კვლევამ აღმოაჩინა ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი ძალისხმევით ხელს უწყობენ მეშვიდე მიზნის განხორციელებას. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს ფართო აუდიტორიას ამ ორგანიზაციების საქმიანობა გააცნოს. ამ ქვეთავის დარჩენილი ნაწილი წარადგენს ორგანიზაციებს და მათ კონტრიბუციას მეშვიდე მიზნის განხორციელებაში. თითოეული მათგანი წარმოადგენს მნიშვნელოვან შემთხვევას და კარგ პრაქტიკას, რომელიც შეიძლება მომავალშიც გამოიყენონ.

**საუკეთესო პრაქტიკა**

### ტექნიკური სპეციალისტის გადამზადება და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, რომელსაც ენერგეტიკის სექტორთან მიმართებაში ჰქონდა აქტივობები. ორგანიზაციამ ჩაატარა რამდენიმე კონფერენცია ენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, EPRC-მ განახორციელა ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებებიც. კერძოდ, ორგანიზაციამ ადგილობრივი არქიტექტორები გაგზავნა შვედეთში ახალი ცოდნის მიღებისა და მშენებლობის პროცესში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ენერგორესურსების ეფექტურ გამოყენებას.

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს** არ გააჩნია პირდაპირ ენერგო ეფექტურობაზე ორიენტირებული პროექტები. თუმცა, ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის ფარგლებში, ხდება ენერგო პოლიტიკის იმპლემენტაციისა და ამ სფეროში ინტერესთა კონფლიქტის მონიტორინგი. ამრიგად, ისინი ამ საკითხს კვლავ ანტიკორუფციული კუთხით უყურებენ და მონიტორინგს უწევენ სამთავრობო პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგიის წყაროების განვითარებას.

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ არ აქვთ პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ენერგეტიკის სექტორთან და მის განვითარებასთან; თუმცა ისინი ირიბად უკავშირდებიან აღნიშნულ სექტორს იმ შემთხვევაში თუ მათი პროექტული საქმიანობა ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის საკითხებს ეხება.

თვისებრივი კვლევის დროს, ზოგიერთი ორგანიზაცია ენერგოეფექტურობას გარემოსდაცვით საკითხებთან ბმაში განიხილავდა. იქიდან გამომდინარე, რომ ენერგოეფექტურობას პირდაპირი ზეგავლენა აქვს გარემოზე, რესპონდენტები ხშირად მეშვიდე მიზნის აქტივობებს უკავშირებდნენ მეთხუთმეტე მიზანს. თვისებრივი კვლევის დროს, ორგანიზაციებმა გაიზიარეს თავიანთი საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც ხელს უწყობდა ენერგოეფექტურობასა და/ან გარემოს დაცვას. მაგალითად, **CENN**-ის მთლიანი ორგანიზაციული საქმიანობა მიძღვნილია ტყის მდგრადი რესურსების განვითარებაზე. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხელს უწყობს ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარებას, რათა შემცირდეს და შენელდეს ტყის გაჩეხვის პროცესი. **CIDA/GCNG** ახორციელებს პროექტს „ლიდერობა მდგრადი განვითარებისათვის საქართველოში“, რომლის ფარგლებში გარემოსდაცვითი საკითხები ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ორგანიზაცია ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებით, ტრენინგებით, ადვოკატირებით, ბიზნეს სექტორის სწავლების გზით და ა.შ.

კვლევის მეორე ეტაპზე ეს ღონისძიებები გაიზომა საქართველოს მასშტაბით. შედეგების თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 14 (13,2%) მუშაობს ტყის მდგრადი მართვის სისტემის განვითარებაზე (იხ. დიაგრამა 9); გამოკითხული ორგანიზაციების ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ საქმიანობა ხორციელდებოდა მრავალჯერადად ან რეგულარულად. 106 ორგანიზაციიდან 27-მა (25,5%) აღნიშნა, რომ ატარებდა ტრენინგებს  და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს. ორგანიზაციების სრულმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი აქტივობები თანმიმდევრული იყო და საქმიანობა მრავალჯერ ან რეგულარულად ხორციელდებოდა. რაც შეეხება აქტივობის მასშტაბს,  შემთხვევათა უმრავლესობაში, ერთი ორგანიზაცია ფარავდა 1000-დან 2000-მდე ბენეფიციარს. აღსანიშნავია, რომ 7-მა გამოკითხულმა ორგანიზაციამ  უპასუხა, რომ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში ჩართეს 1000-დან 2000-მდე ბენეფიციარი, რაც ამ აქტივობის ყველაზე მაღალი ინდიკატორია.

**დიაგრამა 9.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მეშვიდე მიზნის განხორციელებაში**



## ბ) ეკონომიკური ზრდა

მდგრადი განვითარების მერვე მიზანი ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდაა. გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ ბიზნეს სექტორისთვის აღნიშნული მიზნის პრაქტიკაში განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშავა. კერძოდ, ორგანიზაციებს, რომლებიც ყოველდღიურად ჩართულები არიან მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში, შეუძლიათ პროცესი მეტად ეფექტური გახადონ შემდგომი ღონისძიებების გამოყენებით:

- განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც ხელს შეუწყობს პროდუქტიული საქმიანობის განვითარებას, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, მეწარმეობას, კრეატიულობას და ინოვაციებს. ასევე ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობის გზით ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფორმალიზაციას და ზრდას;
- მდგრადი მოხმარებისა და წარმოების პროგრამის 10 წლიანი ჩარჩოს მიხედვით, გაუმჯობესდეს მოხმარებისა და წარმოების პროცესში მსოფლიო რესურსების ეფექტური გამოყენების კუთხით არსებული მდგომარეობა და შეჩერდეს ეკონომიკური ზრდის პროცესის გარემოს დეგრადაციასთან ასოცირება. ამ პროცესში წამყვანი როლი განვითარებულ ქვეყნებს აქვთ;
- 2030 წლისთვის ყველა ქალი და კაცი, მათ შორის ახალგაზრდები და შშმ პირები, უზრუნველყოფილები უნდა იყვნენ ღირსეული სამუშაოთი და თანაბრად გაწეული საქმისთვის თანაბარ ანაზღაურებას უნდა იღებდნენ;
- 2030 წლისთვის არსებითად შემცირდეს იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც არ არიან დასაქმებული, არ იღებენ განათლებას ან არ გადიან გადამზადებას;
- გატარდეს სწრაფი და ეფექტური ღონისძიებები, რათა დასრულდეს იძულებითი შრომა, თანამედროვე მონობა და ტრეფიკინგი, აღმოიფხვრას და აიკრძალოს ბავშვთა შრომის ყველაზე საშინელი ფორმები;
- შრომითი უფლებების დაცვა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა ყველა დასაქმებულისთვის;
- 2030 წლისთვის, მდგრადი ტურიზმის ხელშემწყობი პოლიტიკების მიღება და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების გაჩენას და ადგილობრივი კულტურებისა და პროდუქტების პოპულარიზაციას;
- ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების შესაძლებლობებისა და საბანკო, სადაზღვევო და ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების მონაწილეებმა განიხილეს თავიანთი აქტივობები, რომლებიც ზემოხსენებულ საკითხებს უკავშირდება. რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, გამოკითხული ორგანიზაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უპასუხა, რომ მერვე მიზნის ამოცანები ინტეგრირებულია მათ სტრატეგიულ მიმართულებებში. სტატისტიკის თანახმად, ორგანიზაციების 16%-მა აღნიშნა, რომ ისინი მუშაობენ ეკონომიკური განვითარებისა და რეფორმების მიმართულებით; გამოკითხულ ორგანიზაციათა 17,9% მუშაობს რეგიონული განვითარების მიმართულებით; ორგანიზაციების 13,2% მუშაობს სოციალური მეწარმეობის კუთხით; ხოლო ორგანიზაციების 7,5% მუშაობს შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ირგვლივ არსებულ საკითხებზე (იხ. დიაგრამა 10). ზემოთ განხილულია ყველა საკითხი, რაც მერვე მიზნის ქვეშ მოიაზრება.

**დიაგრამა 10.**

**ორგანიზაციების სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც თანხვედრაშია მერვე მიზანთან**




გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შესაძლოა, ორგანიზაციებმა თავიანთი სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ უპირატესობა არ მიანიჭონ ეკონომიკური განვითარების აქტივობებს, მაგრამ მაინც იყვნენ ისეთი პროგრამებისა და პროექტების განმახორციელებლები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხელს უწყობენ მერვე მიზანს. რაოდენობრივმა კვლევამ აღმოაჩინა მერვე მიზნის ქვეშ გამოვლენილი ოთხი ძირითადი ტენდენცია. მერვე მიზნის ფარგლებში ყველაზე გავრცელებული საქმიანობა ორგანიზაციაში ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა იყო. 106 ორგანიზაციიდან 41-მა (38.7%) განაცხადა, რომ ისინი მხარს უჭერენ ახალგაზრდების/სტუდენტების დასაქმებას და მოქნილ სამუშაო გრაფიკს სთავაზობენ მათ. შემთხვევათა უმრავლესობაში, ახალგაზრდა თანამშრომლები ორგანიზაციების დასაქმებულთა 10%-ზე ნაკლებს წარმოადგენდნენ. ამ მიზნის მეორე ყველაზე გავრცელებული აქტივობა დასაქმებულებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა და ანაზღაურების განმსაზღვრელი მექანიზმების არსებობა იყო. შედეგების თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 35-მა (33%) აღნიშნა, რომ მათ ორგანიზაციას აქვს მსგავსი მექანიზმები. მერვე მიზნის შემდეგი გავრცელებული პრაქტიკა მეწარმეობის (25.5%) და სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა იყო (იხ. დიაგრამა 11). შემთხვევათა უმრავლესობაში, მეწარმეობისა და სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტები ბოლო ორი წლის განმავლობაში მრავალჯერადად ან რეგულარულად ხორციელდებოდა. თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციები მეწარმეებსა და სოციალურ მეწარმეებს ხშირად სთავაზობენ მცირე საგრანტო პროგრამებს. რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში, 2018-2020 წლების განმავლობაში მცირე საგრანტო პროგრამების ფარგლებში ორგანიზაციებმა 1-დან 5-მდე მეწარმეობისა და სოციალური მეწარმეობის პროექტი დააფინანსეს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა გამოკითხულმა ორგანიზაციამ ბოლო ორი წლის განმავლობაში 100-ზე მეტი პროექტი დააფინანსა, რომელიც წარმოების განვითარებას უკავშირდებოდა. ამ ერთეული პროგრამების მასშტაბები წარმოუდგენლად დიდია, თუმცა ისინი გამონაკლისი შემთხვევებია და არ წარმოადგენენ ამ მიზნის ქვეშ გავრცელებული პროგრამების მასშტაბის პრაქტიკებს.

**დიაგრამა 11.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მე-8 მიზანში**




რაოდენობრივი კვლევის განზოგადებული ინფორმაციის გარდა, თვისებრივმა კვლევამ შეისწავლა სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები. ამ ქვეთავის დარჩენილ ნაწილში მოცემულია გამოკითხული ორგანიზაციების შემთხვევები და მათი კონტრიბუცია.

### საუკეთესო პრაქტიკა

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ** ამ მიზნის განხორციელებას ხელი თანამშრომლებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნით შეუწყო. გარდა ამისა, ორგანიზაცია უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობებს არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. კერძოდ, **საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს** აქვს სამი რეგიონული ოფისი. ორგანიზაციას ასევე აქვს წერილობითი დოკუმენტაცია, რომელიც ადგენს ანაზღაურების პირობებს. სიღრმისეული ინტერვიუს დროს გაზიარებული ინფორმაციის მიხედვით, ორგანიზაცია თანაბრად შესრულებული სამუშაოს თანაბრად ანაზღაურებას უზრუნველყოფს და „ეს ყველაფერი, ანაზღაურებიდან დაწყებული ეთიკის კოდექსის ჩათვლით, გაწერილია დოკუმენტების დონეზე, რომელთა უმრავლესობა საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილების რისკებს“. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია თანამშრომლებს  პროფესიული და პიროვნული ზრდის შესაძლებლობებს აძლევს.

სიღრმისეული ინტერვიუს დროს, ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დასაქმებულების განვითარების საკითხს.  რესპონდენტის განცხადებით, არსებობს უფასო ტრენინგები  და თანამშრომლები ხშირად ესწრებიან მათ, თუმცა ორგანიზაციას არ აქვს შესაძლებლობა, რომ დააფინანსოს სხვა ტრენინგები. გარდა ამისა, აღნიშნული ორგანიზაცია ცდილობს,  თავის დასაქმებულებს უსაფრთხო სამუშაო გარემო შეუქმნას.

**CENN**-ის წარმომადგენელთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს თანახმად, ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული ეკონომიკური გაძლიერების აქტივობების განხორციელებაში. **CENN** აქტიურად მუშაობს ქალებთან და ხელს უწყობს მათ გაძლიერებას. ორგანიზაციის საქმიანობა ასევე ვრცელდება მცირე მეწარმეებზე, მათ შორის ხელს უწყობს მწვანე მეწარმეობის წახალისებას და აფინანსებს მცირე პროე-

ქტებს (**ENPARD**-თან ერთად). ორგანიზაცია წალკისა და ქედის მოსახლეობას მცირე ბიზნესის წამოწყებაში ეხმარება. ორგანიზაციის წარმომადგენლები როგორც პროექტის შექმნის, ისე განხორციელების პროცესში მონაწილეობენ.

ადამიანის უფლებების განხრით მომუშავე ორგანიზაცია მერვე მიზნის განხორციელებას ორი მიმართულებით ახდენს - მას აქვთ შიდა და გარე ორგანიზაციული აქტივობები. შიდა ორგანიზაციული საქმიანობის მხრივ, ორგანიზაცია უზრუნველყოფს თანაბრად შესრულებული სამუშაოს თანაბრად ანაზღაურებას. კერძოდ, ორგანიზაცია ცდილობს მენეჯერების, მკვლევარების და იურისტების ანაზღაურებებს შორის არ იყოს მკვეთრი განსხვავებები. გარდა ამისა, ანაზღაურების თვალსაზრისით, ორგანიზაციას აქვს ბონუსების სისტემა და მათთვის ასევე პრიორიტეტულია ეკონომიკური პრობლემის მქონე თანამშრომლების დახმარება. რაც შეეხება გარე საქმიანობას, ეს ძირითადად მოიცავს პოლიტიკის ადვოკატირებას და ალტერნატიული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სამრეწველო და სამთო-მომპოვებითი რეგიონების განვითარების საკითხებზე (ჭიათურა, ტყიბული და სხვა). ორგანიზაცია მხარს უჭერს ამ რეგიონების განვითარებას მათთვის განვითარების ალტერნატიული დოკუმენტების შემუშავების გზით, რომელიც შეიძლება შემდგომ შესაბამისმა სამთავრობო ინსტიტუტებმა გამოიყენონ. რაოდენობრივი კვლევის დროს გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ 6.6% აღნიშნავდა, რომ მათ განახორციელეს აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა განვითარების ალტერნატიული ეკონომიკური გეგმების შემუშავებას.

**IDFI** ეკონომიკურ ზრდას სხვადასხვა საქმიანობის გზით უწყობს ხელს. უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაცია ქმნის სამუშაო შესაძლებლობებს ქვეყანაში და იზიდავს საერთაშორისო გრანტებს; მეორე, ის ქმნის ღირსეულ სამუშაო გარემოს, რომელიც მეგობრული და უსაფრთხოა დასაქმებულთათვის. თანამშრომლების შერჩევა ხდება სამართლიანად და გამჭვირვალედ. გარდა ამისა, ორგანიზაცია შშმ პირებს დასაქმების შესაძლებლობებს სთავაზობს და ხელს უწყობს მათ სოციალურ ჩართულობას.

> *„პირველ რიგში, ჩვენ ვცდილობთ მოვიზიდოთ საერთაშორისო გრანტები, რომლებიც შემდგომში საქართველოში იხარჯება, და მეორე - თანამშრომლებს ვაძლევთ ღირსეულ სამუშაო პირობებს და სათანადო ხელფასებს. ჩვენს წესდებაში გაწერილია შესაბამისი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს პირობების შესახებ ... ერთხელ გვქონდა შემთხვევა, როდესაც შშმ პირი იყო დასაქმებული ჩვენს ორგანიზაციაში. [სტაჟირების] შემდგომ ის საზღვარგარეთ წავიდა კვლევისთვის. ჩვენს ვებგვერდზე იდება ყველა ვაკანსიასთან დაკავშირებული განცხადება და თანამშრომლების შერჩევის პროცესი სრულიად მიუკერძოებლად მიმდინარეობს“.*
>
> ***IDFI***

**OSGF**-მა შექმნა კომპლექსური სისტემა, სადაც თანამშრომლებზე ზრუნვა ორგანიზაციის მთავარი პრიორიტეტია. კერძოდ, ოფისში გამოყოფილია სივრცე ფიტნეს დარბაზისთვის; შექმნილია დასვენების ძალიან მოქნილი სისტემა; პარასკევ დღეს სამუშაო საათები განახევრებულია და დაბალი რანგის თანამშრომლები უზრუნველყოფილი არიან უფასო სადილით. საახალწლო და საზაფხულო არდადეგების დროს ორგანიზაცია ორკვირიან შვებულებას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება **EPRC**-ს, ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის სფერო პირდაპირ კავშირშია ღირსეული სამუშაოსა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასთან. ორგანიზაცია თავისი კვლევითი საქმიანობით ხელს უწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას; ორგანიზაცია ატარებს კონფერენციებს, ხელს უწყობს შესაძლებლობების გაძლიერებას ტრენინგების ჩატარების გზით და აფინანსებს მცირე გრანტებს. მცირე საგრანტო პროგრამების ფარგლებში, ორგანიზაცია ყიდულობს სხვადასხვა ტექნიკასა და აღჭურვილობას დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. ზოგადად, **EPRC** მუშაობს მცირე და საშუალო მეწარმეებთან და ხელს უწყობს მათ განვითარებას.

მდგრადი განვითარების მერვე მიზნის განხორციელების ფარგლებში, **CIDA/GCNG**-მ 2018-2020 წლებში განახორციელა პროექტი „ლიდერობა მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში". გარდა ამისა, **CIDA/GCNG**-მ განახორციელა ეკონომიკური გაძლიერების აქტივობები დასაქმებისა და მეწარმეობის მხარდაჭერის გზით. ამ აქტივობების სამიზნე ჯგუფი მეწარმე ქალები, სასაზღვრე რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდა მეწარმეები და ყოფილი პატიმრები იყვნენ. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხელს უწყობს თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებას და უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა სახის ტრენინგებით, რომლებიც მათ პროფესიულ და პერსონალურ ზრდას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ **CIDA/GCNG** ზრუნავს ქვეყანაში სამუშაო ძალის განვითარებაზე და ისინი ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობებს აძლევენ ახალგაზრდებს და სტუდენტებს. ეს პროგრამა ეხმარება მათ მიიღონ გამოცდილება და ინტეგრირდნენ შრომის ბაზარზე.

### საუკეთესო პრაქტიკა

**GFA**-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, დასაქმებულთათვის მოქნილი და მეგობრული სამუშაო გარემოს შენარჩუნებაა. აღნიშნულის მიღწევა ხდება გამჭვირვალე და ღია კომუნიკაციის, ორგანიზაციის მისიისა და ღირებულებების განხილვის, სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის შენარჩუნებისა და თანამშრომლების წახალისების გზით. ორგანიზაცია ცდილობს დასაქმებულები უფრო მეტად კომფორტულად და თავდაჯერებულად გრძნობდნენ თავს, კომბინირებული ბონუსების სისტემის გამოყენებით ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენას და ახორციელებს სხვადასხვა წამახალისებელ ღონისძიებებს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე გარეთ. ორგანიზაციის მისიაა თანაბარი და სამართლიანი სტანდარტების გაძლიერება, ამგვარად, სრულად იცავს ეროვნულ საკანონმდებლო ნორმებს (ადამიანის უფლებებთან, პროფესიულ ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან, სამუშაო უფლებებთან, გარემოს დაცვასთან და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით). ორგანიზაციას აქვს ეთიკის კოდექსი, დისკრიმინაციისა და შევიწროების საწინააღმდეგო რეგულაციები, აგრეთვე სხვა პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს და თითოეული თანამშრომლისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

**CSRDG**-მ მერვე მიზნის განხორციელებას ხელი შეუწყო სოციალური მეწარმეობის პროგრამის საშუალებით, რომლის ფარგლებშიც 2017-2020 წლებში სხვადასხვა პროექტი განახორციელეს. (1) 2019 წელს **CSRDG**-მ დაიწყო პროექტის „სოციალური სერვისების განვითარება შშმ პირების და ხანდაზმულთა უფლებების საფუძველზე" განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავდა უფლებებზე დამყარებული სოციალური მომსახურების მოდელის შეტანას იმ დაწესებულებებში, რომლებიც არიან შშმ პირებისა და ხანდაზმულებისთვის სერვისების მიმწოდებლები. პროექტი მიზნად ისახავს უფლებებზე დამყარებული სოციალური სერვისების მიწოდების მოდელის ადვოკატირებასა და მხარდაჭერას ეროვნულ დონეზე. მთავარი მიზნის მიღწევის მიზნით, ორგანიზაციამ ჩაატარა სხვადასხვა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები სოციალური სერვისების მიმწოდებლებსა და ბენეფიციარებთან. (2) 2016-2019 წლებში ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის", რომლის მიზანი სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა იყო, რათა უკეთ განახორციელონ თავიანთი სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნები და ეკონომიკურად გააძლიერონ მოწყვლადი ჯგუფები. (3) 2017-2018 წლებში საზოგადოების თემის პროგრამის ფარგლებში, **CSRDG**-მ განახორციელა „მოწყვლადი თემებისა და ტურიზმის სექტორში ჩართული მცირე მეწარმეების შესაძლებლობების გაძლიერების" პროექტი, რომლის ფარგლებშიც მცირემასშტაბიანი სამუშაოები ჩატარდა კახეთსა და იმერეთის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რენოვაციის კუთხით. აღნიშნული საქმიანობის მიზანი უმუშევრობის შემცირება და მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის დამატებითი შემოსავლის უზრუნველყოფა იყო.

## გ) მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

მდგრადი განვითარების მეცხრე მიზანი მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურაა. ამ მიზნის ხასიათიდან გამომდინარე, ის უფრო ორიენტირებულია ბიზნეს სექტორზე, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციებზე. თუმცა თვისებრივმა და რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ სხვადასხვა სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები დაინტერესებული არიან მეცხრე მიზნის განხორციელებით. თვისებრივი კვლევის შედეგებით, არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე ხშირად ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობენ საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რენოვაციაზე ორიენტირებული პროექტებით და საკანონმდებლო დონეზე ინფრასტრუქტურული პროექტების ირგვლივ დებატებისა და დისკუსიების ფასილიტაციაში. რაოდენობრივი კვლევის თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 25-მა (23,6%) აღნიშნა, რომ მათ განახორციელეს პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და განახლებაზე (იხ. დიაგრამა 12). სხვა აქტივობებსა და მიზნებთან შედარებით, ორგანიზაციების უმრავლესობამ (25-დან 15-მა) უპასუხა, რომ მათი ძალისხმევა არ იყო რეგულარული და ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტივობა მრავალჯერადად განხორციელდა. რვა ორგანიზაციამ უპასუხა, რომ მათი საქმიანობა იყო ერთეული ღონისძიება გაგრძელების გარეშე, ხოლო ორი ორგანიზაციის თქმით, ისინი ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგულარულად ახორციელებდნენ აქტივობებს, რომლის მიზანიც საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება იყო. მეორე დაფიქსირებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, 106 ორგანიზაციიდან 14-მა (13%) აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ინიციატივებისა და პროექტების ფარგლებში მათი ორგანიზაცია ფასილიტაციას უწევდა საჯარო დისკუსიებსა და განხილვებს (იხ. დიაგრამა 12). ორგანიზაციების ერთმა ნახევარმა უპასუხა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტივობებს მრავალჯერადად ახორციელებდნენ, ხოლო მეორე ნახევრის მიერ განხორციელებული აქტივობები მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიებები იყო გაგრძელების გარეშე.

**დიაგრამა 12.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მეცხრე მიზნის განხორციელებაში**




თვისებრივი კვლევის მიმდინარეობისას, მკვლევართა გუნდმა შეისწავლა გამოკითხული ორგანიზაციების პროექტები, მათი საქმიანობა, რომლებიც ამ მიზნის იმპლემენტაციის კარგ მაგალითებს წარმოადგენენ და შესაძლებელია, რომ მათი გამოყენება მომავალშიც წარმატებით მოხდეს. ამ ქვეთავის დარჩენილი ნაწილი ამ ორგანიზაციებს და მათ ძალისხმევას წარადგენს.

საგზაო უსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაციამ ხელი შეუწყო საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ტრანსპორტირებას ბევრად უსაფრთხოს ხდის.

*„შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით, შემდგომში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციასთან თანამშრომლობით, ჩვენ დავხატეთ ქვეითთა გადასასვლელები, დავაყენეთ შუქნიშნები, რითიც შევცვალეთ საგზაო უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა“.*

***საგზაო უსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაცია***

**IDFI**-მ საკანონმდებლო ინიციატივების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარებაში საჯარო დებატების ფასილიტაციის გზით, რომელიც ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს უძღოდა წინ.

*„რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონ-პროექტთან დაკავშირებით საჯარო დებატებს შევუწყეთ ხელი... ეს კანონი ქალაქის ფასადური შენობების დაცვის საწინააღმდეგო რეგულაციებს შეიცავდა და საზოგადო უსაფრთხოებას უქმნიდა საფრთხეს... ჩვენ ამ კანონპროექტის შესახებ მოვაწყვეთ საჯარო დისკუსია და ხელი შევუწყეთ საჯარო და კერძო დიალოგის პროცესს“.*

***IDFI***

**OSGF**-ის საქმიანობა ძირითადად სამოქალაქო ინიციატივების გაძლიერებას და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ეფექტურ მუშაობას უკავშირდება. ყველა ეს საქმიანობა ძირითადად ადვოკატირების ფარგლებში ხორციელდება. ორგანიზაცია ასევე აფინანსებს პროექტს - **Droa.ge** რომელიც მკვლევარებს საშუალებას აძლევს 100 სოფლიდან მიიღონ სხვადასხვა მოსაზრებები სამოქალაქო ინიციატივებზე და შემდეგ ასახონ მათ მიერ რეალობაში გამოვლენილი ცვლილებები.

## დ) მდგრადი მოხმარება და წარმოება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანახმად, ერთ-ერთი პრიორიტეტი მდგრადი მოხმარება და წარმოებაა. პრაქტიკაში, სხვადასხვა სექტორის დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი პრაქტიკები და პოლიტიკები შეუსაბამონ ამ მიზნის ამოცანებს და ამგვარად ხელი შეუწყონ მის იმპლემენტაციას. გაეროს დირექტივების მიხედვით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მეთორმეტე მიზნის განხორციელებას და შემდგომი მიმართულებით შესაბამისი ზომების მიღების გზით:

- ყველა ქვეყანამ, განვითარებული ქვეყნების ხელმძღვანელობით, განახორციელოს მდგრადი მოხმარებისა და წარმოების პროგრამის 10 წლიანი ჩარჩო და მხედველობაში მიიღოს განვითარებადი ქვეყნების განვითარების შესაძლებლობები;
- 2030 წლისთვის უნდა ხდებოდეს ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება და მდგრადი მართვა;
- 2030 წლისთვის გლობალურად განახევრდეს სურსათის ნარჩენების მოცულობა საცალო და სამომხმარებლო დონეებზე და შემცირდეს პროდუქციისა და მომარაგების ჯაჭვში საკვების დანაკარგები, მათ შორის, მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგები;
- 2020 წლისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შეიქმნას ქიმიკატების და ნარჩენების მართვის სისტემები და მნიშვნელოვნად შემცირდეს მათი ჰაერში, მიწასა და წყალში გამოყოფა, რათა შემცირდეს მათი ნეგატიური ზეგავლენა ადამიანების ჯანმრთელობასა და გარემოზე;

- 2030 წლისთვის პრევენციის, შემცირების, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების გზით მნიშვნელოვნად შემცირდეს ნარჩენების წარმოშობა;
- კომპანიების, განსაკუთრებით მსხვილი და ტრანსნაციონალური კომპანიების წახალისება, რათა დანერგონ მდგრადი პრაქტიკები და მათი ანგარიშგების ციკლში შეიტანონ მდგრადობასთან დაკავშირებული ინფორმაციაც;
- სახელმწიფო შესყიდვების ისეთი პრაქტიკების ხელშეწყობა, რომლებიც ეროვნული პოლიტიკებისა და პრიორიტეტების მიხედვით მდგრადია;
- 2030 წლისთვის ყველა ადამიანს ყველგან უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია და უნდა ჰქონდეს მდგრად განვითარებასა და ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერება.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, არ აწარმოებენ რაიმე სახის პროდუქტს; ამრიგად, ისინი მდგრად მოხმარებაზე მეტად ორიენტირებულები არიან, ვიდრე მდგრად წარმოებაზე. თვისებრივი კვლევის დროს, სიღრმისეულმა ინტერვიუებმა და სამაგიდე კვლევებმა გამოავლინა სხვადასხვა პრაქტიკები, რომლებიც გაიზომა რაოდენობრივი კვლევის დროს. მეთორმეტე მიზნის ფარგლებში ყველაზე გავრცელებული აქტივობა იყო ქაღალდის გადამუშავება. შედეგების თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 46-მა (43,4%) უპასუხა, რომ მათ აქვთ გამოყენებული ქაღალდების შეგროვებისა და გადამუშავების პრაქტიკა; აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში (90%) ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტივობები ხორციელდება მრავალჯერ ან რეგულარულად. მეორე ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა ოფისში პლასტმასის მოხმარების შემცირება იყო. რაოდენობრივი კვლევის დროს, 106 ორგანიზაციიდან 30-მა (28%) უპასუხა, რომ მათ ამ მიმართულებით გაატარეს ღონისძიებები. შემთხვევათა 86.7%-ში ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტივობები რამდენჯერმე ან რეგულარულად განხორციელდა. ამ ორი გავრცელებული პრაქტიკის გარდა, 106 ორგანიზაციიდან 27-მა (26%) აღნიშნა, რომ 2018-2020 წლებში მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები ხელს უწყობდა ნარჩენების მართვის სისტემისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. გარდა ამისა, 106 ორგანიზაციიდან 12-მა (11%) უპასუხა, რომ ისინი მხარს უჭერენ წარმოების პროცესებში მავნე ქიმიური ნივთიერებების შემცირებას (იხ. დიაგრამა 13). ორგანიზაციების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საქმიანობა არ იყო მხოლოდ ერთჯერადი კამპანია და 2018-2020 წლებში ამ მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები ხორციელდებოდა რეგულარულად.

**დიაგრამა 13.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა მე-12 მიზანში**



რაოდენობრივი მონაცემების გარდა, თვისებრივმა კვლევამ მეთორმეტე მიზნის განხორციელების თვალსაზრისით ორგანიზაციის საქმიანობებისა და მაგალითების შესახებ ღირებული ინფორმაცია მოიპოვა. ამ ქვეთავის დარჩენილ აბზაცებში მოცემულია ორგანიზაციების მიერ სიღრმისეულ ინტერვიუებზე გაზიარებული აქტივობების შესახებ მიღებული ინფორმაცია.

საერთაშორისო გამჭვირვალობამ აღნიშნა, რომ ისინი „მხოლოდ ქაღალდის გადამუშავებაზე მუშაობენ. ოფისის მიერ გამოყენებული ქაღალდი ცალკე გროვდება და შეგროვებული ქაღალდი გადასამუშავებლად იგზავნება“.

საგზაო უსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ისინი ხელს უწყობენ ელექტრომობილებისა და ტრანსპორტის წარმოება-განვითარებას. ორგანიზაციას არ აქვს რაიმე განსაკუთრებული საქმიანობა ამ მიმართულებით, თუმცა ისინი მიესალმებიან ყველა ინიციატივას, რაც ხელს უწყობს ასეთ ინოვაციებს.

ორგანიზაციამ, რომელიც მოწყვლადი ჯგუფების თემატიკაზე მუშაობს, აღნიშნა, რომ არ აქვთ ნარჩენების მართვის ცალკეული დოკუმენტი, თუმცა თავიანთი საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციებისგან აქვთ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ადაპტირებული დირექტივები. გასათვალისწინებელია, რომ ორგანიზაციებს აქვთ სურვილი, მოახდინონ ქაღალდის გადამუშავება და ნარჩენების სეპარირებისათვის საჭირო ურნები აქვთ. ორგანიზაცია ცდილობს მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია პლასტმასის გამოყენების ალტერნატიული გზების შესახებ.

**საუკეთესო პრაქტიკა**

### CENN-ის წვლილი საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავებაში

**CENN** არის ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზაცია. ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია თანამშრომლობდა სახელმწიფოსთან. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოში პირველი ნარჩენების განცალკევების დოკუმენტი შეიქმნა. გარდა ამისა, **CENN** აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ მთავრობებთან თბილისსა და ბათუმში და ნარჩენების გადამამუშავებელ ორგანიზაციებთან, რათა გაეზარდათ მათი შესაძლებლობები ნარჩენების გადამუშავების, განცალკევებისა და გამოყენების მხრივ. ამ პროექტის ფარგლებში თბილისში და ბათუმში ნარჩენების განცალკევებისათვის დამონტაჟდა ურნები. ორგანიზაციამ ასევე მოახდინა თავისი ორგანიზაციული პრაქტიკების ადაპტირებაც. კერძოდ, ოფიციალური წერილები იბეჭდება გადამუშავებულ, გამოყენებულ ქაღალდზე და ოფისი აღჭურვილია ცალკეული ურნებით.

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ გააჩნიათ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტები, თუმცა მათ აქვთ შიდა ორგანიზაციული პრაქტიკები, რომლებიც ხელს უწყობს რესურსების ეფექტურ გამოყენებას. კერძოდ, თანამშრომლები ცდილობენ, ქაღალდის რესურსების მიზნობრივად ათვისებას და ფურცლის ორივე მხრიდან გამოყენებას. ორგანიზაცია ახდენს გამოყენებული ქაღალდის გადამუშავებას და პოპულარიზაციას უწევს პოლიეთილენის, ელეტროენერგიისა და სხვა მსგავსი მატერიების მოხმარების შემცირებას.

**IDFI**-ს ამ მიმართულებით ორი ძირითადი აქტივობა აქვს: პირველი, თანამშრომლების ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას ხელმოწერაში აქვს შემდგომი ფრაზა: „იზრუნე ბუნებაზე, არ დაბეჭდო ეს წერილი“; მეორე, ორგანიზაციას აქვს მწვანე ყუთები, სადაც სამუშაო პროცესში გამომუშავებული ქაღალდი გროვდება და იგზავნება გადასამუშავებლად.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია იყენებს მწვანე პოლიტიკას, რომელიც ზღუდავს პლასტმასის მოხმარებას ოფისში; გარდა ამისა, ასოციაციას ოფისში აქვს ქაღალდის შესაგროვებელი მწვანე ყუთები. სიღრმისეული ინტერვიუების დროს, **EPRC**-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ამჟამად მუშაობს ნარჩენების მართვის ადაპტირებულ დოკუმენტზე, სწავლობს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის შემთხვევებს და მათ გამოცდილებას, თუ როგორ მოხდა პრაქტიკების ეროვნულ დონეზე ადაპტირება. რაც შეეხება შიდა ორგანიზაციულ აქტივობებს, ორგანიზაცია აგროვებს ქაღალდს გადამუშავებისთვის.

**CSRDG**-მ მეთორმეტე მიზნის განხორციელებას ხელი ორი პროექტის მეშვეობით შეუწყო - „ადგილობრივი თემების მხარდაჭერა და ტერიტორიების კონსერვაციის მხრივ შესაძლებლობების გაზრდა“, ასევე „ორგანული ნარჩენების წვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავების გზით“, რომელთა ფარგლებში გარემოსდაცვითი აქტივობები წახალისდა და სამიზნე ჯგუფებმა ნარჩენების მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიიღეს.

## ე) მდგრადი ურბანიზაცია

მდგრადი განვითარების მიზნები, წარმოადგენს პასუხს იმ გამოწვევებზე, რომლებიც ზრდისა და განვითარების სწრაფი ტემპით არის გამოწვეული. ურბანიზაციის მაღალი მაჩვენებლებისა და მისი თანმდევი სირთულეების გამო, მდგრადი განვითარების მეთერთმეტე მიზანი მდგრადი ქალაქები და დასახლებები გახდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა პირდაპირ თუ ირიბად ხელი შეუწყვეს ამ მიზნის განხორციელებას. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა მეთერთმეტე მიზნის ჭრილში გაანალიზდეს. რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები მეთერთმეტე მიზნის ქვეშ განხორციელებულ ღონისძიებებს ორ ნაწილად ჰყოფს; არსებობს ამოცანები, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა მეტი წვლილი შეიტანეს და არსებობს აქტივობები, რომლებსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ნაკლები ყურადღება დაეთმო. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, მეთერთმეტე მიზნის ქვეშ ყველაზე გავრცელებული აქტივობა დასუფთავების და გამწვანების კამპანიების ორგანიზება და განხორციელება იყო; შესაბამისად, ორგანიზაციების 34%-მა აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ განახორციელეს მსგავსი საქმიანობა (იხ. დიაგრამა 14). შემთხვევათა უმრავლესობაში, აქტივობა მრავალჯერადად განხორციელდა და ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილმა უპასუხა, რომ 2018-2020 წლებში ერთჯერადი აქტივობა განახორციელეს. ამ მიზნის შემდგომი გავრცელებული აქტივობა არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისის ინფრასტრუქტურის შშმ პირთა საჭიროებებზე ადაპტირება იყო. 106 ორგანიზაციიდან 23-მა (22%) აღნიშნა, რომ მათი ოფისები ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე და მათ პანდუსები, ლიფტები და პარკინგის ადგილები აქვთ. ოფისის ადაპტაციის გარდა, 106 ორგანიზაციიდან 21-მა აღნიშნა, რომ ისინი მუშაობდნენ ქვეითებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ეს უკანასკნელი მეთერთმეტე მიზნის ქვეშ განხორციელებული მეოთხე ყველაზე გავრცელებული აქტივობა იყო.

**დიაგრამა 14.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მეთერთმეტე მიზნის განხორციელებაში**




აღნიშნული ოთხი აქტივობის გარდა, რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა კონკრეტული აქტივობები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ხორციელდებოდა. შედეგების თანახმად, 106 ორგანიზაციიდან 10-მა (9,4%) აღნიშნა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩართულები იყვნენ მწვანე და რეკრეაციული ტერიტორიების პრივატიზების პროცესის მონიტორინგსა და ადვოკატირებაში, 106 ორგანიზაციიდან 7 (6,6%) მუშაობდა თანამედროვე საჯარო ტრანსპორტირების სისტემის განვითარებაზე და 106 ორგანიზაციიდან 15-მა იმუშავა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციაზე მიმართულ პროექტებსა და აქტივობებზე.

რაოდენობრივი კვლევის დაწყებამდე, თვისებრივმა კვლევამ შეისწავლა სხვადასხვა ორგანიზაციის შემთხვევა, რომლებიც ჩართულები იყვნენ მეთერთმეტე მიზნის განხორციელებაში. ამ თავის დარჩენილი ნაწილი წარადგენს იმ ორგანიზაციების შემთხვევებს, რომლებიც იმსახურებს წარდგენასა და მკითხველის აღიარებას.

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო** სოციალურ ჩართულობასა და საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობდა. ორგანიზაცია ადვოკატირებას უწევდა ფეხით მოსიარულეებისა და შშმ პირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, თანამედროვე საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას, თბილისთან ახლოს მდებარე მწვანე და რეკრეაციული ზონების დაცვას. ამ უკანასკნელის ფარგლებში, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ ჩაატარა კვლევა მწვანე და რეკრეაციული ადგილების პრივატიზებაზე. დედაქალაქის გარდა, ორგანიზაცია ყურადღებას აქცევს რეგიონულ ქალაქებში არსებულ სიტუაციასა და მათ ურბანულ პრობლემებს.

> *„ბოლო ხანებში ჩვენ ჩავატარეთ კვლევა ფოთში ჰაერის დაბინძურებაზე... თბილისის ეკოლოგიურ პრობლემებზე, მწვანე ტერიტორიების დაცვასა და პრივატიზებაზე [თბილისში]“.*
>
> ***საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო***

საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია წარმატებით საქმიანობდა თავისი სტრატეგიული მიმართულებების ირგვლივ და წვლილი შეიტანა ქალაქში ქვეითების უსაფრთხო გადაადგილებაში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ ამ მიზნის ქვეშ კონტრიბუცია ორი აქტივობით განახორციელა: (1) ორგანიზაციამ ხელი შეუწყო კანონმდებლობის მიღებას, რომელმაც სავალდებულო გახადა მგზავრობის პროცესში ღვედების გამოყენება; (2) ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული საკანონმდებლო წინადადების მომზადების პროცესში, რომელიც ბავშვების სამგზავრო სავარძლების გამოყენებას უკავშირდება.

> *„ჩვენ გავუგზავნეთ რეკომენდაციები მთავრობას, შევქმენით ერთობლივი სამუშაო ჯგუფები [მთავრობასთან], ერთად ვმუშაობდით ბავშვების სამგზავრო სავარძლების გამოყენების საკითხებზე. მივიღეთ კანონი, უსაფრთხოების ღვედების გამოყენების შესახებ, რომელიც ძალიან ადრე იქნა მიღებული. ჩვენს ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მოხდა ღვედების შესახებ კანონის მიღებაც. ჩვენ ასევე ვმუშაობთ ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებაზე და მათთვის ინფრასტრუქტურული პირობების შექმნაზე“.*
>
> ***საგზაო უსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაცია***

ერთ-ერთმა ორგანიზაციამ მე-11 მიზნის განხორციელებაში თავისი წვლილი შეიტანა ზუგდიდში ველოსიპედების პირველი საპარკინგე სივრცის შექმნით. თავდაპირველად, ამას სერიოზულად არ აღიქვამდნენ, ხოლო მოგვიანებით, ზუგდიდის მაცხოვრებლებმა დაიწყეს მისი რეგულარული გამოყენება.

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა საცხოვრებლის საკითხებზე, ადვოკატირებას უწევდა  განსახლების საკითხებს და ასევე ადვოკატირების გზით ეხმარებოდა მოსახლეობას უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნაში. გარდა საცხოვრისისა, ამ ორგანიზაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ეკოლოგია იყო. კერძოდ, ორგანიზაცია ადვოკატირებას უწევს კაზრეთის, ჭიათურის და ტყიბულის ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების საკითხებს. რაც შეეხება კულტურის ძეგლებს, ორგანიზაცია ადვოკატირებას უწევდა ადვილობრივ მუსლიმ თემებს და ამტკიცებდა, რომ მოხეს მეჩეთი მათ ეკუთვნით და არა მართლმადიდებელ ეკლესიას. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული შენობების ადაპტირების კუთხით მათ რეკომენდაციები მისცეს სახელმწიფო ინსტიტუტებს მეთერთმეტე მიზნის განხორციელების თვალსაზრისით. **EPRC** ენერგოეფექტური მშენებლობის განვითარების კუთხით თანამშრომლობდა არქიტექტორებთან. ეს აქტივობა ირიბად ინფრასტრუქტურულ საკითხებსაც უკავშირდება. გარდა ამისა, აღნიშნული ორგანიზაციის კვლევის ერთ-ერთი მიმართულება ინფრასტრუქტურულ განვითარებას უკავშირდება.

## III. დემოკრატიული მმართველობა

### ა) თანასწორობა

გაეროს მდგრადი განვითარების ორი მიზანი წარმოადგენს უფრო თანასწორი და ინკლუზიური სამყაროს შექმნის მთავარ საფუძვლებს. მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, მეხუთე და მეათე მიზნები - გენდერული თანასწორობა და შემცირებული უთანასწორობა - თანასწორობის პოლიტიკისა და პრაქტიკის მთავარი საყრდენია. აღნიშნული ორი მიზანი ძირითადად მოწყვლად ჯგუფებზეა ორიენტირებული და მხარს უჭერენ ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მათ კეთილდღეობას გააუმჯობესებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიზნები ძალიან ჰგავს პირველ და მეორე მიზნებს, რადგან ამ მიზნების ქვეშ განხორციელებული პროექტების სამიზნე ჯგუფი იგივე მოწყვლადი თემებია.  გარდა ამისა, თანასწორობის მიზნები გარკვეულწილად დაკავშირებულია მესამე და მეხუთე მიზნებთან, როდესაც საუბარია

რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე. ამრიგად, პირველი და გარკვეულწილად მესამე მიზნის ქვეშ განხორციელებული აქტივობები შესაძლებელია ჩაითვალოს მხარდამჭერ ღონისძიებებად, რომლებიც ხელს უწყობს თანასწორობას.

თანასწორობის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე ღირებული ინფორმაცია იქნა მიღებული როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევიდან. კვლევის თვისებრივ ეტაპზე, კვლევის ჯგუფმა ყველა გამოკითხულ ორგანიზაციას შორის გააკეთა ერთი ზოგადი დაკვირვება.

მმართველობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, როგორც წესი, გენდერულ თანასწორობას მხარს უჭერენ პოლიტიკის ადვოკატირებისა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გზით. მეორე მხრივ, სოციო-ეკონომიკური კუთხით მომუშავე ორგანიზაციები მეტად მიდრეკილი არიან, მხარი დაუჭირონ გენდერული თანასწორობის პრინციპს ეკონომიკური გაძლიერების აქტივობებით, ტრენინგების ჩატარებით, შესაძლებლობების გაძლიერებით, მეწარმეობის მხარდაჭერით და მცირე საგრანტო პროგრამებით. რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, 106 ორგანიზაციიდან 27-მა (25,5%) აღნიშნა, რომ ქალთა უფლებები ორგანიზაციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. 106 ორგანიზაციიდან 26-მა (24,5%) აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობა ორგანიზაციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იყო. ხოლო, 106 ორგანიზაციიდან 20-მა (18,9%) უმცირესობათა უფლებების დაცვა მათ ერთ-ერთ ძირითად სამუშაო მიმართულებად  დაასახელა. აღნიშნული სამი მიმართულება პირდაპირ თანასწორობის პოლიტიკასთანაა დაკავშირებული (მიზანი მე-5, მე-10).

ორგანიზაციების სტრატეგიული მიმართულებების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გარდა, რაოდენობრივმა კვლევამ გაზომა თვისებრივი კვლევის დროს გამოვლენილი აქტივობები. მიღებული შედეგები ახდენს კვლევის ინფორმირებას 2018-2020 წლებში არასამთავრობო ორგანიზაციებში მეხუთე და მეათე მიზნების ქვეშ გამოვლენილ მთავარ ტენდენციებსა და განვითარებაზე. შედეგების თანახმად, ორგანიზაციების უდიდესმა ნაწილმა (106-დან 68) აღნიშნა, რომ მათ ორგანიზაციას აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას (64%). ამასთან, 106 ორგანიზაციიდან 54-მა (50.9%) ჩაატარა სხვადასხვა ტრენინგი ქალებისთვის მათი გაძლიერების მიზნით, ხოლო 106 ორგანიზაციიდან 40-მა (37.7%) ჩაატარა ტრენინგები ადრეული ქორწინების, იძულებითი ქორწინების, ოჯახში ძალადობისა და გენდერული თანასწორობის თემატიკაზე (იხილეთ დიაგრამა 15). ამ სამი ძირითადი ტენდენციის გარდა, რაოდენობრივმა კვლევამ მოიპოვა განზოგადებული ინფორმაცია იმ აქტივობების შესახებ, რომელიც აღინიშნა თვისებრივი კვლევის დროს. მათი შედარებით დაბალი რაოდენობრივი მაჩვენებლების გამო, ისინი არ წარმოადგენენ მეხუთე მიზნის მთავარ ტრენდებს. შედეგების მიხედვით, 106 ორგანიზაციიდან 37-მა (34,9%) აღნიშნა, რომ ისინი მხარს უჭერენ გენდერული თანასწორობის პოლიტიკას სამთავრობო დონეზე, 106 ორგანიზაციიდან 33-ში (31,1%) მოქმედებს სექსუალური შევიწროებისა და გენდერული დისკრიმინაციის მონიტორინგის მექანიზმი. საგულისხმოა, რომ თვისებრივი კვლევის დროს ორგანიზაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მსგავსი მექანიზმები მთავრობის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე ჰქონდათ. 106 ორგანიზაციიდან 32-მა (30,2%) ქალები უზრუნველყო მცირე გრანტებით და მათი ბიზნეს ინიციატივები დააფინანსა, ხოლო 106 ორგანიზაციიდან 29-მ (27,4%) უფასო იურიდიული კონსულტაცია და მომსახურება გაუწია ქალებს. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი საინტერესო მიგნება მენეჯერულ და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების დაწინაურების წახალისება იყო. თვისებრივი კვლევის თანახმად, რამდენიმე ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ აქტივობები, რომელიც ხელს უწყობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობას და ისინი იბრძოდნენ „შუშის ჭერის“ წინააღმდეგ. რაოდენობრივი კვლევის თანახმად, 106 ორგანიზაციიდან მხოლოდ 26-მა (24,5%) განაცხადა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში განახორციელეს აქტივობა, რომელიც ებრძოდა „შუშის ჭერს“.

**დიაგრამა 15.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის განხორციელებაში**




რაც შეეხება მდგრადი განვითარების მეათე მიზანს, თვისებრივმა კვლევამ მოიპოვა ორგანიზაციების კონტრიბუციის კონკრეტული მაგალითები, ხოლო რაოდენობრივმა კვლევამ წარმოადგინა განზოგადებული ინფორმაცია მათზე. რაოდენობრივი კვლევის დროს გამოვლინდა არასამთავრობო სექტორში 2018-2020 წლებში მიმდინარე ოთხი ძირითადი ტენდენცია. ყველაზე გავრცელებული ტრენდი ორგანიზაციის ეთიკის კოდექსში ანტიდისკრიმინაციული და შევიწროების საწინააღმდეგო რეგულაციების ორგანიზაციის ეთიკის კოდექსში ინტეგრირება იყო (40,6%), მეორე ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა კი  დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების ყველასთვის უზრუნველყოფა იყო; გამოკითხული ორგანიზაციების 31.1% -მა (106-დან 33-მა) განაცხადა, რომ ისინი მსგავს პრაქტიკას ახორციელებდნენ.  მესამე, გამოკითხული ორგანიზაციების 24.5%-მა (106-დან 22-მა) აღნიშნა, რომ ორგანიზაციის შიგნით და/ან მის ფარგლებს გარეთ  შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დასაქმების შესაძლებლობებს ქმნიან. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ დასაქმებული ჰყავდათ 1-2 შშმ პირი, ხოლო შემთხვევათა უმცირესობაში ორგანიზაციებში დასაქმებული იყო 6-12 ან 25-30 შშმ პირი. ეს უკანასკნელი ამ აქტივობის ყველაზე მაღალი ინდიკატორია. მეოთხე, ორგანიზაციების 28.3%-მა (106-დან 30-მა) მხარი დაუჭირა დევნილებს და კონფლიქტისპირა რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს მათზე ორიენტირებული პროექტებითა და მათთვის დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით. აღნიშნული აქტივობა ბოლო ორი წლის განმავლობაში მრავალჯერ ან რეგულარულად განხორციელდა.

**დიაგრამა 16.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მე-10 მიზანში**




არასამთავრობო ორგანიზაციების შორის გამოვლენილი ზემოთ განხილული ზოგადი ტენდენციების გარდა, თვისებრივმა კვლევამ ძალიან ღირებული ინფორმაცია მოიპოვა ორგანიზაციების კონტრიბუციაზე. აღნიშნული ქვეთავის დარჩენილი ნაწილი მიზნად ისახავს თვისებრივ კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების მოკრძალებულ წვლილს და წარადგენს კარგ პრაქტიკებს, რომლებიც მომავალშიც შეიძლება გამოიყენონ ორგანზიაციებმა და მეტად გამრავალფეროვანდეს.

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო** ქვეყანაში გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით  სამთავრობო დაწესებულებებთან თანამშრომლობს. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას არ აქვს პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეხუთე მიზნის ამოცანებზე, გენდერული თანასწორობის საკითხები გათვალისწინებულია ყველა პროექტის განხორციელებისას.

> *„ამ მიმართულებებზე ჩვენ ვთანამშრომლობთ პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოსთან და მხარს ვუჭერთ საბჭოს გაძლიერებას... ჩვენ ამაზე უშუალო ყურადღება არ გვაქვს გამახვილებული, მაგრამ ჩვენი ერთ-ერთი მიზანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც უფრო მეტ თანასწორობას უზრუნველყოფს...“*
>
> ***საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო***

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს** მსგავსად, გენდერული თანასწორობა არ წარმოადგენს **IDFI**-ს სტრატეგიულ მიმართულებას, მაგრამ ორგანიზაცია აღნიშნულს დიდ ყურადღებას აქცევს. ინტერვიუს დროს რესპონდენტმა დაასახელა კონკრეტული აქტივობები და შემთხვევები, რომლებიც მეხუთე მიზნის მიღწევას უწყობს ხელს. გარდა ამისა, რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დონორები ცდილობენ თანდათან უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ გენდერულ თანასწორობას და ახალი დაფინანსების გაცემისას ორგანიზაციებისთვის დებენ სპეციალურ წინაპირობებს. გენდერული თანასწორობის გარდა, ორგანიზაცია ხელს უწყობს სოციალურ ინკლუზიას. ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა პარლამენტის შენობის ადაპტირებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. აქვე გასათვალისწინებელია, რომ **IDFI**

პერიოდულად სწავლობს სოციალური დახმარების სისტემასაც; კერძოდ, მათ შეისწავლეს საბჭოთა პერიოდში რეპრესირებული ადამიანებისთვის მიცემული სოციალური დახმარებები. შედეგების თანახმად, ამ ჯგუფისთვის გაწეული სოციალური დახმარება წარმოუდგენლად მწირია და არაა საკმარისი მათი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

*„ჩვენ ცოტა ხნის წინ გამოვაქვეყნეთ ანგარიში საჯარო სამსახურში გენდერული თანასწორობის შესახებ... [კიდევ ერთი] კვლევა ჩავატარეთ **COVID-19** პანდემიის პერიოდში ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ მდგომარეობის გაუარესებაზე. [კვლევის] მიზანი ძირითადი საფრთხეების დადგენა და მათი აღმოფხვრის გზების შესწავლა იყო... სხვათაშორის, მივიღეთ თხოვნა რამდენიმე ფონდიდან, რომ როდესაც სპიკერებს ვეძებთ, ყველა წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე სქესის და ბალანსი უნდა იყოს დაცული“.*

***IDFI***

**OSGF**-მა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორგანიზაციაში დასაქმებულთა უმეტესობა ქალია და ორგანიზაციას შემუშავებული აქვს შევიწროვებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საწინააღმდეგო შიდა პოლიტიკა. **COVID-19** პანდემიის დროს, ორგანიზაციამ დაიწყო პროექტის დაფინანსება, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას და ზოგადად სიტუაციის ნეგატიური ფსიქო-სოციალური ზეგავლენის შემსუბუქებას. სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, **OSGF** ადვოკატირებას უწევს და ახორციელებს პროექტებს უმცირესობების უფლებებზე; კერძოდ, ლგბტ საზოგადოების, რელიგიური უმცირესობების, ქალების, ბავშვებისა და სხვა უმცირესობების უფლებებზე.

**EPRC** აქტიურად მუშაობს ქალთა გაძლიერებაზე და მათთვის ადეკვატური სამუშაო პირობების შექმნაზე; მათი ღონისძიებების სამიზნე ჯგუფს ქალი და პოტენციური მეწარმეები წარმოადგენენ. დასაქმებისა და სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით ორგანიზაცია გასცემს მცირე გრანტებს. ამას გარდა, ორგანიზაცია დიდ ძალისხმევას დებს შესაძლებლობების გაძლიერებასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში და თავიანთ ბენეფიციარებს მრავალ ტრენინგს უტარებს.

**CIDA/GCNG**-მ განახორციელა რამდენიმე პროექტი და ორგანიზაციული ღონისძიება, რამაც ხელი შეუწყო მეხუთე მიზნის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ (1) **CIDA** იყო გლობალური ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის კუთხით ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას. ღონისძიებამ ხაზი გაუსვა იმას, თუ როგორ შეუძლია ქალთა გაძლიერებას კერძო კომპანიებში უფრო მაღალი პროდუქტიულობის მოტანა, საბოლოო ჯამში ეკონომიკისა და სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლის ზრდა და განვითარების ხელშეწყობა. ღონისძიებას მთავრობის, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების 70-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა.

*„ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით წამყვან კომპანიებთან, რათა ხელი შევუწყოთ ქალთა გაძლიერების პრინციპების ბიზნესის ოპერაციებში ინტეგრაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიზნესებს შორის ინტერესი სწრაფად იზრდება“.*

***CIDA/GCNG***

გარდა ამისა, (2) **CIDA/GCNG**-მ ფასილიტაცია გაუწია ქალთა გაძლიერების სამუშაო ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ქალებს ბიზნესის სექტორიდან. ორგანიზაციამ მოწვეული კონსულტანტების დახმარებით განახორციელა ჯგუფების მუშაობაში მონაწილე კომპანიების გენდერული შეფასება. გენდერულმა შეფასებამ გაეროს გლობალური შეთანხმებისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ქალთა გაძლიერების პრინციპების შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით ბიზნეს სექტორში ქალთა გაძლიერების საკითხი შეაფასა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ორგანიზაციამ საქართველოში მოქმედი 20-მდე კომპანიისთვის ქალთა გაძლიერების სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. გარდა ბიზნეს კომპანიებთან თანამშრომლობისა, (3) არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ფარგლებში ორ რეგიონში ტრენინგები ჩაატარა. ქვემო ქართლის, კახეთისა და განჯა-გაზახის რეგიონში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები გაეცნენ ქალთა გაძლიერების პრინციპებს, გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებს, აზერბაიჯანსა და საქართველოში მეწარმე ქალთა მხარდაჭერის, ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ არსებულ ვითარებასა და საკანონმდებლო ჩარჩოს. (4) პროექტის „ლიდერობა მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში“ ფარგლებში ფუნქციონირებს სამუშაო ჯგუფი, სახელწოდებით „ბიზნესი თანასწორობისთვის“. ამ მექანიზმის ფარგლებში ორგანიზაცია ცდილობს ბიზნეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის, ქალთა გაძლიერების პრინციპებისა და კორპორაციული მდგრადობის საკითხებზე. (5) ორგანიზაციამ ჩაატარა შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობები 20 მეწარმე ქალთან; მათ აგრეთვე ჩაუტარეს ტრენინგები ციფრული მარკეტინგის, საჯარო გამოსვლის, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების და მარკეტინგული კომუნიკაციის თემატიკაზე. პროექტის შემდგომ ეტაპზე, 20 მეწარმე ქალიდან 10-მა მიიღო მცირე გრანტი ბიზნესისთვის. (6) **CIDA/GCNG**-მ განახორციელა პროექტი „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“. პროექტი გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განხორციელდა. (7) ორგანიზაციამ ასევე განახორციელა პროექტი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა“, რომელიც მიზნად ისახავდა რეფორმების მხარდაჭერას და ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებისთვის რეკომენდაციების მიცემას.

**CENN**-ს არ გააჩნია ცალკეული პროექტი, რომელიც მიმართულია გენდერულ თანასწორობაზე, მაგრამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ყველა პროექტი ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს. ორგანიზაცია მხარს უჭერს და ხელს უწყობს ქალთა გაძლიერებას, ეხმარება დასაქმებაში და უნარების გაძლიერებაში.

თვისებრივი კვლევის დროს გამოკითხული ერთ-ერთი ორგანიზაციის მთლიანი საქმიანობა ორიენტირებულია მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებზე, თანასწორობის მდგომარეობასა და პოლიტიკაზე. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ქალებთან, ახალგაზრდებთან, დევნილებთან და სოციალურად დაუცველ სხვა პირებთან. ისინი თავიანთ ბენეფიციარებს სთავაზობენ როგორც მატერიალურ, საგანმანათლებლო დახმარებასა და იურიდიულ მომსახურებას, ასევე მუშაობს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე ორგანიზაციაც აქტიურადაა ჩართული გენდერული და სოციალური თანასწორობის პოპულარიზაციაში. ორგანიზაცია მხარს უჭერს ქალების პოლიტიკაში ჩართულობას თვითმმართველობების საქმიანობასა და არჩევნებში მათი მონაწილეობის წახალისების გზით. ორგანიზაციამ მარნეულში მცხოვრებ ქალებს ჩაუტარა ტრენინგები სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების მიზნით. ტრენინგის მიზანი ქალების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის წახალისება იყო. გარდა ამისა, ორგანიზაციის თანამშრომლები თარგმნიან ფემინისტურ ლიტერატურას და წერენ სტატიებს გენდერის საკითხზე დისკუსიების დაწყების მიზნით.

ერთ-ერთმა ორგანიზაციამ, რომელიც ჩართული იყო სამაგიდე კვლევაში, 2019 წელს განახორციელა „სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა". პროგრამის მიზანი იყო სოციალური მეწარმეობის განვითარების გზით საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება.

**GFA** მხარს უჭერს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას მათთვის ცოდნის გაზიარებით, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, ბაზრებთან კავშირისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ახალი შესაძლებლობების უზრუნველყოფით. საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ საქართველოს ხუთ რეგიონში 150 ქალისთვის შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები ჩაატარა, რომელიც მოიცავდა როგორც ტექნიკური, ისე თეორიული ცოდნის გაზიარებასა და უნარების გაუმჯობესებას. აღნიშნული აქტივობის ბენეფიციარები დაუკავშირდნენ მათ სფეროში მომუშავე უფრო მსხვილ ბიზნესებს, რათა ახალ ბაზარზე ფეხის მოკიდებისთვის საჭირო მხარდაჭერა მიეღოთ და არსებული შესაძლებლობები სტაბილური განვითარებისთვის მაქსიმალურად გამოეყენებინათ.

**საუკეთესო პრაქტიკა**

### თანასწორი გარემოს შექმნა საქართველოში

ასოციაცია „თანხმობა" მუშაობს ქალთა და დევნილთა უფლებებზე. ორგანიზაცია ბევრ პროექტს ახორციელებს, რომლის სამიზნე ჯგუფსაც წარმოადგენენ ქალები, დევნილები, კონფლიქტის ზონებთან ახლოს მცხოვრები ადამიანები, მიგრანტები, ყოფილი პატიმრები და ა.შ. ძირითადი სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის, ორგანიზაცია პროექტებში ხშირად გენდერულ მიდგომას იყენებს და მუშაობს როგორც ქალებთან, ასევე მამაკაცებთან. რესპონდენტის ინფორმაციით, ორგანიზაციას აქვს სხვადასხვა პროექტები, რომლებიც მხარს უჭერს ადმინისტრაციულ ხაზთან ახლოს მდებარე დევნილთა დასახლებებსა და სოფლებში მცხოვრებ ქალებსა და დევნილებს. (1) ერთ-ერთი პროექტი არის ქალთა ჯგუფების შექმნა, რომლებიც საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე მუშაობენ. (2) ქალთა ჯგუფების გარდა, ორგანიზაციამ შექმნა ახალგაზრდული კლუბები, რომლის სამიზნე ჯგუფსაც ქალები და ახალგაზრდები წარმოადგენენ და ცდილობს საზოგადოებაში გაზარდოს ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერება. (3) ორგანიზაცია სოფლად მცხოვრებ მოწყვლად პირებს უფასო იურიდიულ მომსახურებას აწვდის. ამ მიმართულებით, ორგანიზაციის წარმომადგენლები განსაკუთრებით აქტიურობენ ადმინისტრაციულ ხაზთან ახლოს მდებარე სოფლებში, რადგან იქ მიწის რეგისტრაცია ძალიან დიდი პრობლემაა. (4) ორგანიზაციას ჰქონდა რესოციალიზაციის პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იყო კრიმინალური წარსულის მქონე პირებსა და პატიმრებზე. პროგრამის ფარგლებში, ორგა-

ნიზაციამ ხელის შეუწყო 200-ზე მეტი პატიმრის დასაქმებას. (5) ორგანიზაცია მუშაობს ყოფილ ემიგრანტებთან და თანამშრომლობს საფრანგეთის მთავრობასთან; ასოციაცია „თანხმობამ“ ჯამში 200-ზე მეტი ბიზნეს პროექტი დაუფინანსა ყოფილ ემიგრატებს; დაფინანსების უმეტესი ნაწილი გადაეცათ ქალებს. (6) თვისებრივი კვლევის დროს, რესპონდენტის მიერ გაზიარებული ინფორმაციის თანახმად, ორგანიზაცია თანამშრომლობს რეგიონალურ წარმომადგენლობებთან ქალთა უფლებების დაცვის მიზნით; კერძოდ, ორგანიზაციის წარმომადგენლები ცდილობენ გაზარდონ მამაკაცებში გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე არსებული ცნობიერება. (7) ასოციაცია „თანხმობა“ ასევე წარმოდგენილია ნატო-ს სამოქალაქო ორგანიზაციების საბჭოში, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით 15 ორგანიზაციას აერთიანებს და მუშაობს ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. ორგანიზაცია ცდილობს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრიუსელში მაღალი თანამდებობის პირებს ქართულ კონფლიქტებზე ინფორმაცია სწორად მიეწოდებათ და ესმით.

*„პროექტები, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, პირდაპირ ქალებზეა ორიენტირებული; ზოგჯერ, ჩვენ ვცდილობთ გამოვიყენოთ გენდერული მიდგომა, როდესაც მამაკაცებთანაც გვჭირდება მუშაობა... ჩვენი ერთ-ერთი მიმართულებაა ადგილობრივ მთავრობებთან მუშაობა, რათა მათ ქალები ჩართონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ქალთა ჯგუფები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში ან სოფლებში, რომლებიც უფრო ახლოს არიან გამყოფ ხაზებთან. ჯგუფები მუშაობენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე, COVID-19-ის ირგვლივ არსებულ საკითხებზე და ა.შ. აქამდე ვმუშაობდით კონფლიქტის, უსაფრთხოების საკითხებზე; ამიერიდან მდგრადობის კუთხით ვმუშაობთ.... კლიმატური ცვლილებები დაემატა... COVID-19... ერთი მიმართულებაა ქალთა საკითხები, მეორე მიმართულება - ახალგაზრდები. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ მშვიდობის კლუბები; ასეთი კლუბები უკვე შეიქმნა ნიქოზში, გარდაბანში, ყინწვისში, განმუხურში... [ახალგაზრდები ატარებენ ტრენინგებს] ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინების, განათლების პოპულარიზაციის, კონფლიქტების, COVID-19-ის პრევენციის, ახალგაზრდების სოციალური პასუხისმგებლობის და სხვა თემებზე... სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, განვახორციელეთ პროექტი რეგიონებში, რამაც შესაძლებლობა მისცა ყველაზე დაუცველ ქალებს სხვებისთვის მიეწვდინათ ხმა. მათ შეუძლიათ დაუკავშირდნენ სახელმწიფო ინსტიტუტებს და აცნობონ თავიანთი პრობლემები... წყლის არარსებობა, გზები, გაზიფიკაცია და ა.შ “.*

***დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“***

საუკეთესო პრაქტიკა

## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წვლილი ქალთა და გენდერული უფლებების მიმართულებით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია) აქვს ცალკეული პროგრამები ქალთა და გენდერული უფლებების შესახებ. საიას ორგანიზაციული საქმიანობა ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას შემდგომი მიმართულებით: (1) ორგანიზაცია მხარს უჭერს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს და შეხვედრებს ატარებს მოსახლეობასთან სხვადასხვა საკითხებზე მათი ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, როგორიცაა ადრეული ქორწინება, იძულებით ქორწინება, ოჯახში ძალადობა, გენდერული თანასწორობა; ამ ღონისძიებების ფარგლებში საია ზრდის ცნობიერებას სერვისებზე, რომლებსაც ქალებმა შეიძლება მიმართონ ძალადობის შემთხვევებში; (2) ორგანიზაცია იურიდიულ მომსახურებას აწვდის ქალებს, რომლებსაც სჭირდებათ ასეთი დახმარება; (3) ორგანიზაცია ჩართულია საკანონმდებლო პროცესებში და თანამშრომლობს სახელმწიფო ინსტიტუტებთან; მაგალითად, საია აქტიურად არის ჩართული საქართველოს პარლამენტში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობაში. ორგანიზაცია პერიოდულად აძლევს რეკომენდაციებს საბჭოს და ინსტიტუტებს; თანამშრომლობის თვალსაზრისით, ორგანიზაცია ასევე ჩართულია საკანონმდებლო წინადადების ინიცირებისა და მიღების პროცესებში. მაგალითად, საიამ ხელი შეუწყო სექსუალური შევიწროების შესახებ კანონის შემუშავებას, რომელიც პარლამენტმა 2019 წელს მიიღო. (4) ორგანიზაციას აქვს ცალკე პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკაში ქალების ჩართულობას. ამ პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაცია ჩართული იყო საპარლამენტო კვოტების ირგვლივ მიმდინარე დისკუსიებში და მონაწილეობდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში. (5) ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული კვლევით საქმიანობაში, რომლებიც გენდერულ თანასწორობას და ქალთა უფლებებს უკავშირდება; მაგალითად, საიამ ახლახან გამოაქვეყნა ორი კვლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებებისა და ლგბტ უფლებების შესახებ.

*„ერთ-ერთი მიმართულება რაზეც საია მუშაობს ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას უკავშირდება. ევროკავშირის დაფინანსებით განვახორციელეთ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას. იქედან გამომდინარე, რომ ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დავხმარებოდით ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს, რომლებსაც არ მიუწვდებოდათ ხელი განათლებაზე და არ შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება. ორგანიზაციამ დააფინანსა მათთვის პროფესიული ტრენინგები, ტრენინგის სფერო დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით შეირჩა. ბოლო 2 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ ძალადობის 80 მსხვერპლი გადაამზადა. მათი ნაწილი დასაქმდა, ნაწილმა კი საკუთარი ბიზნეს საქმიანობა წამოიწყო. ამ მომენტისთვის, ამ ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი თავის რჩენა და იძულებულნი არ არიან დაბრუნდნენ იგივე გარემოში“.*

***საია***

**ქალთა საინფორმაციო ცენტრი** არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის განხორციელებაში. 2018-2020 წლებში ორგანიზაციამ რამდენიმე პროექტი განახორციელა, რომელიც ფოკუსირებული იყო საქართველოში ქალთა უფლებების გაუმჯობესებაზე. (1) ორგანიზაცია თანამშრომლობდა 64 ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და მთავრობასთან, რომლის ფარგლებშიც მათ აღასრულეს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად შეიმუშავეს სამოქმედო გეგმები. აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები 2017 წელს იგივე ორგანიზაციის მიერ იყო ინიცირებული. (2) 2019 წელს ორგანიზაციამ დაიწყო მუნიციპალური სერვისების - ქალთა ოთახების -სტანდარტიზაცია და გაფართოება. პროექტი წარმატებით განხორციელდა 29 მუნიციპალიტეტში; პროექტის ფარგლებში ქალთა ოთახების ფუნქციონირებისთვის მიღებულ იქნა სახელმძღვანელო დოკუმენტი. (3) ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი - „ქალებისა და ახალგაზრდობის გაძლიერება მშვიდობის მშენებლობისა და შენარჩუნებისთვის;“ ამ პროექტის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგი გენდერული თანასწორობის, მშვიდობის, უსაფრთხოებისა და გენდერულად მგრძნობიარე მედიაპროდუქტების შექმნის შესახებ. (4) COVID-19 პანდემიის დროს, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა, სამ სხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, გაატარა სპეციალური ღონისძიებები, რათა გაეზარდათ ცნობიერება იმ სერვისებზე, რომლებსაც ქალებმა შეიძლება მიმართონ ძალადობის შემთხვევაში.

**ქალთა ფონდი საქართველოში** ადგილობრივი ფემინისტური ფონდია, რომელიც ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებზე გრანტებს გასცემს. ორგანიზაცია ყოველწლიურად 50-ზე მეტ გრანტს გასცემს. გარდა ამისა, ქალთა ფონდს საქართველოში აქვს ღია კარის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მიიღება როგორც ორგანიზაციების, ასევე ინდივიდუალური საპროექტო წინადადებები. სიღრმისეული ინტერვიუს დროს გაზიარებული ინფორმაციის თანახმად, ორგანიზაციის გრანტის მიმღებები თავიანთი პროექტული საქმიანობით ქალთა უფლებების სხვადასხვა მიმართულებაზე მუშაობენ. კერძოდ, ორგანიზაცია აფინანსებს პროექტებს, რომლებიც უკავშირდება ქალთა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებს (SRHR), ეკონომიკურ უფლებებს, ქალთა მიმართ ძალადობის ფარულ ფორმებს, ქალი პატიმრების რეაბილიტაციასა და გაძლიერებას, გარემოსდაცვით სამართლიანობასა და ქალთა უფლებებს, ფემინისტური მოძრაობების შექმნას, ქალთა შრომით უფლებებსა და სხვა საკითხებს. გარდა ამისა, ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული ინდივიდუალური ინიციატივების მხარდაჭერაში და გრანტებს გასცემს ქალ მკვლევარებზე, ხელოვანებზე და ა.შ.

ორგანიზაციის ერთ-ერთი მიმართულება საინიციატივო ჯგუფების დაფინანსებით აქტივიზმის წახალისებაა. ორგანიზაცია საინიციატივო ჯგუფებს საშუალებას აძლევს მიიღონ დაფინანსება და თავიანთი იდეები განახორციელონ. ამ მიმართულებით, ქალთა ფონდი საქართველოში ცდილობს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რეგიონებში მდებარე საინიციატივო ჯგუფებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. გარდა ამისა, ორგანიზაცია ატარებს ტრენერების ტრენინგს (ToT) თავისი გრანტის მიმღებებისათვის, რომელიც მათი ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

პროექტების დაფინანსების გარდა, ქალთა ფონდს საქართველოში სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც აქვს, რომლებსაც განსხვავებული ღირებულებები აქვს. ორგანიზაცია მხარს უჭერს ქალ უფლებადამცველებს კატო მიქელაძის სახელობის ყოველწლიური დაჯილდოებით და რეგიონებში ყოველწლიურად ატარებს ფემინისტურ ფესტივალს.

*„მთავარი მიზანი მხარდაჭერაა... ქალთა ჯგუფების [ორგანიზაციების] მხარდაჭერა, რომლებიც ქალთა უფლებების თემატიკაზე მუშაობენ, მათ შორის, რეპროდუქციულ უფლებებზე, ეკონომიკურ უფლებებზე, აქტივიზმის განვითარებაზე, ქალთა მოძრაობების მხარდაჭერაზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე და სხვა... ბევრი პროგრამა გვაქვს... მწვანე საკითხები ერთი დიდი მიმართულებაა, სექსუალური [ჯანმრთელობა] და რეპროდუქციული უფლებები მეორე დიდი მიმართულებაა, ქალთა ძალადობის საწინააღმდეგო ინტერვენციები მესამე დიდი მიმართულებაა, გვაქვს ასევე ფემინისტური მოძრაობების გაძლიერებაზე ორიენტირებული მიმართულება; ამ უკანასკნელის ფარგლებში, ინდივიდუალური განაცხადებიც განიხილება... [ასევე ვაფინანსებთ] მკვლევარებს, ქალ ხელოვანებს, ქალ გარემოსდამცველებს და ა.შ. დაფინანსების გარდა, გვაქვს რამდენიმე სხვა აქტივობაც, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.... ვგულისხმობ, კატო მიქელაძის სახელობის ყოველწლიურ დაჯილდოებას ქალთა უფლებებზე მომუშავე აქტივისტებისთვის და ყოველწლიური ფემინისტური ფესტივალი, რომელიც რეგიონებში ტარდება. ჩვენს გრანტიორებს სხვადასხვა ტრენინგს ვუტარებთ. ეს შეიძლება იყოს ტრენერების ტრენინგი (ToT). ჩვენ ჩავატარეთ [ToT]*

*სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე იმ მიზნით, რომ გვქონდეს უკეთესი საკანონმდებლო ჩარჩო და გვყავდეს ტრენერები, რომლებიც ფემინისტური და ადამინის უფლებების პერსპექტივიდან იმუშავებენ. ახლა ევროკავშირის დაფინანსებით ახალი პროექტი დავიწყეთ, რომელიც ადვოკატირებასა და შრომითი უფლებების დარღვევებს უკავშირდება. პროექტის ფარგლებში, უკვე ჩავატარეთ ტრენინგი (ToT), 37 პირი გადამზადდა, რომლებმაც ტრენინგები ჩაუტარეს ჩვენ უკვე არსებულ და პოტენციურ გრანტიორებს. გარდა ამისა, გვქონდა ტრენინგი ციფრულ და ინტეგრირებულ უსაფრთხოებაზე. იქედან გამომდინარე, რომ ქალ და ლგბტ აქტივისტებთან ვმუშაობთ, ეს საკითხები მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენს გრანტიორებს წელიწადში რამდენჯერმე ვუტარებთ ტრენინგებს ციფრულ უსაფრთხოებაზე“.*

***ქალთა ფონდი საქართველოში***

**CSRDG**-მ ბოლო ორი წლის განმავლობაში მრავალი აქტივობა განახორციელა, რომლებმაც ხელი შეუწყო მეხუთე და მეათე მიზნების განხორციელებას. **CSRDG**-ს თემის განვითარების პროგრამა მიმართულია ქალთა თემის ლიდერების გაძლიერებისკენ. 2017-2020 წლებში ორგანიზაციამ ასევე განახორციელა პროექტი „ქალთა უფლებები ცვლილებებისთვის”, რომელიც მხარს უჭერდა გენდერულ თანასწორობას და სოფლად და რეგიონებში მცხოვრები ქალების გაძლიერებას. პროექტმა ამ მიზანს მიაღწია ადგილობრივ თვითმმართველობებთან, სამოქალაქო სექტორთან და ადგილობრივ ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობის გზით. **CSRDG**-ს ასევე აქვს ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ტარდება საინფორმაციო შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების რეგიონალურ წარმომადგენლებთან ასოცირების შეთანხმებასა **(AA)** და თანმხლები ვალდებულებების შესახებ. პროექტის მიზანია საქართველოს მოსახლეობაში გაიზარდოს ასოცირების შეთანხმების შესახებ ინფორმაცია და შეამციროს ქვეყნებს შორის ბარიერი. ამ პროგრამის ფარგლებში ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო ინიციატივის გაძლიერება”, რომლის მიზანი საქართველოში სამოქალაქო გარემოს გაუმჯობესება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება იყო. გარდა ამისა, სოციალური მეწარმეობის პროგრამა წლების განმავლობაში მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომ-

ლებიც ხელს უწყობენ ქვეყანაში უთანასწორობის შემცირებას. პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უფლებებზე  დამყარებული სოციალური სერვისების განვითარება“ ამის ერთ-ერთ გასაოცარ მაგალითს წარმოადგენს.

## ბ) მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუცია

არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო მდგრადი განვითარების მეთექვსმეტე მიზანი, რომელიც მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციაა. რაოდენობრივმა კვლევამ წარმოადგინა განზოგადებული მონაცემები ორგანიზაციებზე, რომელთა სტრატეგიულ მიზნებს შორის მეთექვსმეტე მიზნის ამოცანებია. შედეგების თანახმად, მეთექვსმეტე მიზნის განხორციელებაში ორგანიზაციების მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო ჩართული. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი მუშაობდა ადამიანის უფლებებზე (37,7%), კარგ მმართველობასა და ინსტიტუციურ განვითარებაზე (18,9%), აგრეთვე, ინფორმაციის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობაზე (16%). ორგანიზაციების ყველაზე მცირე რაოდენობა მუშაობდა სასამართლო რეფორმაზე, ანტიკორუფ-ციული მონიტორინგისა და ადვოკატირების საკითხებზე (იხ. დიაგრამა 17).

**დიაგრამა 17.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც თანხვედრაშია მეთექვსმეტე მიზანთან**




სტრატეგიული მიმართულებების მიუხედავად, გამოკითხულმა ორგანიზაციებმა წარმოაჩინეს მეთექვსმეტე მიზნის ამოცანებთან დაკავშირებული თავიანთი კონტრიბუცია. რაოდენობრივი კვლევის თანახმად, ორ-განიზაციების 20%-ზე მეტი ბოლო ორი წლის განმავლობაში მეთექვსმეტე მიზნის განხორციელებას ხელს უწყობდა სხვადასხვა ჯგუფებისთვის უფასო იურიდიული მომსახურების მიწოდებისა (20,8%) და სასამარ-თლო რეფორმაში ჩართვის გზით (24,5%) (იხ. დიაგრამა 18). შემთხვევათა უმრავლესობაში, ორგანიზაციებ-ის მიერ განხორციელებული აქტივობები თანმიმდევრული და მდგრადი იყო. მეთექვსმეტე მიზნის ქვეშ გამოვლენილი მეორე ტენდენცია დევნილებსა და კონფლიქტის ზონასთან არსებულ ვითარებას უკავშირ-დება. თვისებრივი კვლევის დროს, ორგანიზაციებმა, რომლებიც ორიენტირებულები იყვნენ დევნილებსა და კონფლიქტის ზონასთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე, აღნიშნეს, რომ მათ ამ ჯგუფისთვის სპეციალური პროგრამები აქვთ. რაოდენობრივი კვლევის დროს ეს აქტივობა გაიზომა. შედეგების თანახ-მად, გამოკითხული ორგანიზაციების 17,9%-მა აღნიშნა, რომ კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სპეციალური სერვისები და პროგრამები აქვთ (იხ. დიაგრამა 18). კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით განხორციელებული პროექტები მდგრადი და თანმიმდევრული იყო, რადგან ორგანიზაციების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (89.5%) უპასუხა, რომ  ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტივობები მრავალჯერადად ან რეგულარულად განახორციელეს.

**დიაგრამა 18.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მეთექვსმეტე მიზნის განხორციელებაში**




კვლევის შედეგად გამოვლინდა მეთექვსმეტე მიზნის ქვეშ განხორციელებული აქტივობები და ამოცანები, რომლებიც შინაარსობრივად მნიშვნელოვანია, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მათ ნაკლები ყურადღება დაუთმეს. ესენი იყო: ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება (12,3%); ორგანიზებული დანაშაულის  წინააღმდეგ აქტივობებისა და ღონისძიებების გატარება (6,6%), და კორუფციასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ტრენინგების ჩატარება (5,7%) (იხ. დიაგრამა 19). აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ გახორციელებული ღონისძიებები ყველაზე ხშირად ერთეული ღონისძიებები იყო გაგრძელების გარეშე (46,2%), ხოლო ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები მეტად თანმიმდევრული და მდგრადი იყო. ორგანიზაციების 80%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ მათი საქმიანობა განხორციელდა მრავალჯერადად ან რეგულარულად ბოლო ორი წლის განმავლობაში.

**დიაგრამა 19.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მეთექვსმეტე მიზნის განხორციელებაში**




რაოდენობრივი კვლევის შედეგების გარდა, თვისებრივმა კვლევამ მოახდინა კვლევის ინფორმირება მეთექვსმეტე მიზნის ქვეშ განხორციელებულ აქტივობებსა და მის შინაარსზე. აღნიშნული ქვეთავის მიზანი მკითხველისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის გაცნობაა.

**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს** შემდეგი სამუშაო მიმართულება აქვს: კორუფციის წინააღმდეგ და სამართლიანი სასამართლო სისტემისთვის ბრძოლა, სამართლიანი არჩევნების ჩატარება, თავისუფალი მედია და ა.შ.

> *„ჩვენი საქმიანობის 90% სწორედ ამ მიზანს უკავშირდება... კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლიანი სასამართლო სისტემა, სამართლიანი არჩევნები, მედია და ა.შ“.*
>
> ***საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო***

სიღრმისეული ინტერვიუს დროს, ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ორგანიზაცია უშუალოდ ამ კონკრეტული მიზნის მიღწევაზე მუშაობს. კერძოდ, ისინი ხელს უწყობენ სხვადასხვა ჯგუფებში (რელიგიური და სექსუალური უმცირესობები) მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას, აგრეთვე, გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას და სხვა. ორგანიზაციის ფუნქციონირების გარე მიმართულებების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციას გააჩნია ორგანიზაციაში მშვიდობისა და სამართლიანობის წამახალისებელი შიდა მექანიზმები. ორგანიზაციას ჰყავს თანამშრომელი, რომელიც განიხილავს თანამშრომელთა საჩივრებს და მათ მოგვარებაზე მუშაობს. უკვე ერთი წელია, რაც ორგანიზაცია მუშაობს კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობასთან. აქტივობები ძირითადად ადვოკატირებითა და მთავრობისთვის რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება, რომელიც ინკლუზიას და ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის სერვისებზე ხელმისაწვდომობას უკავშირდება.

**IDFI**-მ აღნიშნა, რომ ისინი ხელს უწყობენ ინსტიტუტების გაძლიერებას რამდენიმე შესაძლო გზით: (1) ისინი მუშაობენ, როგორც „მაკონტროლებელი“ ორგანიზაცია; (2) მხარს უჭერს სახელმწიფო ინსტიტუტებს რეფორმების გატარებაში; (3) საჯარო მოხელეებს უტარებენ ტრენინგს და ხელს უწყობენ მათი შესაძლებლობების განვითარებას.

**OSGF** აქტიურად მუშაობს შრომის უფლებების მიმართულებით. ორგანიზაციის თანამშრომლები უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევენ პირებს, რომელთა შრომითი უფლებებიც ირღვევა.

2018-2020 წლებში **CIDA/GCNG**-მ განახორციელა რამდენიმე პროექტი, რითიც მხარს უჭერდა ინსტიტუციონალურ განვითარებას. პირველ რიგში, ორგანიზაციამ განახორციელა სოფლის განვითარების ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროექტი, რომელიც მხარს უჭერდა ეფექტურ, ანგარიშვალდებულ და ინკლუზიურ ინსტიტუციებს ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე; მეორე, **CIDA/GCNG** პროექტ „ლიდერობა მდგრადი განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში მხარს უჭერდა სამთავრობო ინსტიტუტებს; მესამე, პროექტის - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა“ ფარგლებში, **CIDA/GCNG**-მ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს რეფორმების განხორციელებასთან  დაკავშირებული რეკომენდაციები გაუზიარა.

**EPRC**-ს წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაციას აქვს დოკუმენტი, რომელიც ხელს უშლის კორუფციას და ხელმძღვანელობს ანტი-დისკრიმინაციულ და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფო დოკუმენტებით. ორგანიზაცია მეთექვსმეტე მიზნის განხორციელებას სხვადასხვა საქმიანობით უწყობს ხელს. დემოკრატიისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, მათ ჩაატარეს საერთაშორისო კონფერენციები ოფიციალური და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მონაწილეობით, რომლებსაც აქვთ ზეგავლენა მმართველ ინსტიტუტებზე კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის მიმართულებით ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით. ორგანიზაციამ შეიმუშავა დოკუმენტი ელიტურ კორუფციაზე, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესის შევიწროებასთან. ორგანიზაცია არის არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის წევრი. აღნიშნული კოალიციის საშუალებით, ორგანიზაცია იღებს ინფორმაციას არასამართლიანობის, უკანონო ქცევის შესახებ და ახდენს მასზე რეაგირებას.

**ქალთა ფონდს საქართველოში** არ აქვს ცალკეული, მშვიდობაზე ორიენტირებული საქმიანობა; ამასთან, იგი მუშაობს ინკლუზიაზე. ორგანიზაცია ფონდების მოძიების გზით ხელს უწყობს დაუცველი ჯგუფების ჩართვას. გარდა ამისა, ორგანიზაციამ ხელი შეუწყო პოლიტიკის დოკუმენტების შექმნას, კვლევასა და იურიდიული მომსახურების გაწევას. ინტერვიუს მიხედვით, ორგანიზაციას უფრო მეტად ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანია აქვს; მომსახურების გაწევასთან შედარებით, ამას ნაკლები ფინანსური რესურსები სჭირდებათ და მათი ორგანიზება უფრო ადვილია.

*„ჩვენთან არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, რომლებმაც მიიღეს ჩვენი გრანტები, ასევე ლგბტ ქალები და ქალები, რომლებსაც აქვთ დამოკიდებულების პრობლემები... ჩვენ ნაკლები აქტივობა გვაქვს სერვისის მიწოდების მხრივ, ადვოკატირებასა და ცნობიერების ამაღლების კამპანიებთან შედარებით“.*

***ქალთა ფონდი საქართველოში***

საუკეთესო პრაქტიკა

## ქალთა საინფორმაციო ცენტრის წვლილი მშვიდობის მშენებლობაში

ქალთა საინფორმაციო ცენტრმა ხელი შეუწყო მეთექვსმეტე მიზნის განხორციელებას, ისეთი პროექტების იმპლემენტაციით, რომლებიც ხელს უწყობს მშვიდობას და კარგ მმართველობას. კერძოდ, (1) ორგანიზაციამ 10 მუნიციპალიტეტში განახორციელა კოალიციური პროექტი „ქალები და გოგონები მშვიდობიანი საზოგადოებისთვის;“ ამ პროექტის ფარგლებში, რეზოლუცია 1325-ის განხორციელება დაიწყო და შეიქმნა ადგილობრივი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აერთიანებდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ გოგონებსა და ქალებს, მედიას, მასწავლებლებს და ა.შ. (2) ორგანიზაციამ სოფელ ჩორჩანას ადმინისტრაციულ ხაზთან ახლოს ქალთა საინიციატივო ჯგუფები შექმნა. საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები გახდნენ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები; ინიციატივის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა, საზოგადოების პრობლემები პირდაპირ მიეტანათ გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე და წვლილი შეეტანათ კარგ მმართველობაში. (3) ორგანიზაციამ ზუგდიდში, გალში, წალენ-

ჯიხასა და გაგრაში პროექტი „ნდობის აღდგენა ადმინისტრაციულ ხაზთან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობაში“ განახორციელა. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ შეისწავლა მოსახლეობის პრიორიტეტები და საჭიროებები და დაიწყო პრობლემების ადვოკატირება შესაბამის ორგანოებთან. (4) ორგანიზაციამ განახორციელა ორი პროექტი, რომლებმაც ხელი შეუწყეს კარგ მმართველობას. ამ პროექტის ჩარჩოს ფარგლებში 200-მა საჯარო მოსამსახურემ გენდერული თანასწორობაზე, საერთაშორისო და ადგილობრივ ვალდებულებებსა და მეინსტრიმში გენდერული საკითხების წარმოდგენაზე ტრენინგი გაიარა.

საუკეთესო პრაქტიკა

### საიას წვლილი საქართველოში კარგი მმართველობისა და ინსტიტუციური განვითარების საკითხებში

საიას წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით, ორგანიზაცია აქტიურად უწყობს ხელს ქვეყნის ინსტიტუციონალურ განვითარებას და მხარს უჭერს იმ ინსტიტუტების განვითარებას, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებლები სამართლიანობაზე. ინტერვიუს თანახმად, საია მონიტორინგს უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობას, სასამართლო სხდომებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმს. მონიტორინგის შედეგები ქვეყნდება ორგანიზაციის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხელს უწყობს ინსტიტუციურ განვითარებას საზოგადოებრივი დისკუსიების ორგანიზებისა და საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების გზით. და ბოლოს, ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში. მეთექვსმეტე მიზანთან დაკავშირებული ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაცია არის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო“.

*„საია ახორციელებს ბევრ პროექტს, რომლებიც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ემსახურება; ერთ-ერთი მათგანია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში, რომელიც 2015 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება. [ამ პროექტის ფარგლებში] ხორციელდება საბჭოს მუშაობის მონიტორინგი, გამოვლენილია ძირითადი დასკვნები, ხარვეზები და დადებითი მხარეები, გაკეთებულია შესაბამისი რეკომენდაციები... ჩვენ ადვოკატირებას ვუწევთ ბევრ მნიშვნელოვან საკითს. ამ დროისთვის ორგანიზაცია ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მონიტორინგს... წლის დასაწყისში გამოქვეყნდება ანგარიში, რომელიც ასახავს პრობლემებს, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკებს. გარდა ამისა, ჩვენ ვაკეთებთ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას... ვაქვეყნებთ ბლოგებს.... გვაქვს მცირე კვლევები... [საიას] აქვს პროგრამა, რომელიც პირდაპირ მონიტორინგს უწევს სასამართლო სხდომებს ... ანგარიში [მონიტორინგის შესახებ] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს“.*

***საია***

## IV. პარტნიორობა მიზნებისთვის

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების ფარგლებში ჩართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ თანამშრომლობის ამჟამინდელი მექანიზმებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ საკუთარი ხედვა წარმოადგინა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ორგანიზაციებმა გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება სხვადასხვა სექტორებთან თანამშრომლობის მიმართულებით. რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ორგანიზაციების უდიდეს ნაწილს ჰქონდა ერთობლივი პროექტები იმავე სექტორის (არასამთავრობო ორგანიზაციების) წარმომადგენლებთან (60,4%). მომდევნო ყველაზე დიდი წილი მთავრობასთან (39,6%) და აკადემიურ ინსტიტუტებთან (31,1%) თანამშრომლობის შემთხვევებზე მოდის. კვლევის შედეგების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მედია სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების ყველაზე მცირე შემთხვევები დააფიქსირეს (17%). აღსანიშნავია, რომ ორწლიან პერიოდში სექტორული თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული ერთობლივი პროექტების რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში 1-დან 10-მდე მერყეობს. ზოგ შემთხვევებში, ეს შეიძლება იყოს უფრო მაღალიც. გარდა ამისა, ორგანიზაციების უმრავ-

ლესობამ, რომლებსაც არ ჰქონდათ პროექტის ერთობლივი განხორციელების გამოცდილება, გამოთქვეს მზადყოფნა განეხორციელებინათ ერთობლივი ინიციატივები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან სხვა სექტორების წარმომადგენლებთანაც მომავალში.

**ცხრილი 2.**

**ერთობლივი პროექტების/ინიციატივების განხორციელება და სექტორული თანამშრომლობა**

| სექტორი | რაოდენობა/სიხშირე (n) | პროცენტული წილი (%) |
|---|---|---|
| არასამთავრობო ორგანიზაციები | 64 | 60.4 |
| მთავრობა | 42 | 39.6 |
| მედია | 18 | 17.0 |
| აკადემიური ინსტიტუტები | 33 | 31.1 |
| ბიზნესი | 24 | 22.6 |

სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის გარდა, რაოდენობრივმა და თვისებრივმა კვლევებმა შეაფასეს თანამშრომლობის არსებული მექანიზმები. თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ამჟამინდელი ეტაპი არაეფექტურია. რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ ორგანიზაციების უმეტესობა არსებულ მექანიზმებს ნეიტრალურად აფასებს; ორგანიზაციების 52.8% თვლის, რომ თანამშრომლობის არსებული მექანიზმები არც ძლიერია და არც ეფექტური. რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ორგანიზაციების მცირე ნაწილი არსებულ მექანიზმს დადებითად აფასებს; პოზიტიური შეფასება მისცა ორგანიზაციების 11,4%-მა, ხოლო უარყოფითი მოსაზრება აქვს გამოკითხული ორგანიზაციების 25,8%-ს.

თანამშრომლობის შედარებით ნაკლებად პოზიტიური პერსპექტივის გამო, არასამთავრობო ორგანიზაციებმა პრიორიტეტი მიანიჭეს იმ სექტორებს, რომელთა გაძლიერებაც საჭიროა ამ მიზნების მისაღწევად. არასამთავრობო ორგანიზაციების პრიორიტეტები ასე გამოიყურება: ორგანიზაციების ყველაზე დიდი წილი მიიჩნევს, რომ ცენტრალური მთავრობის (45,3%) და ადგილობრივი თვითმმართველობების (47,2%) როლის განმტკიცება უნდა იყოს უპირველესი პრიორიტეტი; ორგანიზაციების 29.2% უპირატესობას ანიჭებს ბიზნეს სექტორის გაძლიერებას, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების შედარებით მცირე წილმა (24.5%) ხაზი გაუსვა არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გაძლიერებას მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მიმართულებით.

**დიაგრამა 20.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არსებული თანამშრომლობის მექანიზმის შეფასება**



აშკარაა, რომ არც თვისებრივი და არც რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმა ერთსულოვნად პოზიტიური შეფასება არ მისცეს თანამშრომლობის არსებულ მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ თვისებრივ კვლევაში განხილული იქნა არაეფექტურობის მიზეზები. სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილი მიიჩნევს, რომ არაეფექტურობა არსებული მექანიზმის ნაკლოვანებებს უკავშირდება, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ არსებული ხარვეზების პირობებში არაფექტურობის მიზეზები სხვა ფაქტორებში უნდა ვეძებოთ. ამ უკანასკნელმა ჯგუფმა შეიმუშავა 3 დისკურსი ამ საკითხის ირგვლივ:

***უპირველეს ყოვლისა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მდგრადი განვითარების მიზნების და მათი მნიშვნელოვნების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა წარმოადგენს თანამშრომლობისა და განხორციელების მიმართულებით არსებული დაბრკოლებების უპირველეს მიზეზს. შედეგები აჩვენებს, რომ ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არ არიან საკმარისად ინფორმირებულები ეროვნული დონის გეგმების განხორციელების პროცესის შესახებ.***

***მეორე შესაძლო მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბიზნეს სექტორის მხრიდან თანამშრომლობა ინტერესის ნაკლებობის გამო შეწყდა. რესპოდენტებმა ასევე ახსენეს, რომ ბიზნეს სექტორი უფრო მოგებაზეა ორიენტირებული და, შესაბამისად ნაკლებად გამოხატავენ სურვილს, ჩაერთონ პროცესებსა თუ ფორმატებში, რომლებიც მათ პირდაპირ სარგებელს არ მოუტანს.***

***არაეფექტურობის მესამე მთავარი მიზეზი იყო ბიზნესის, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების მხრიდან ნდობის ნაკლებობა. რესპონდენტის თქმით, ბიზნესს და არასამთავრობო სექტორს არ აქვთ სახელმწიფო სექტორის ნდობა, ხოლო ბიზნეს სექტორი სამოქალაქო ორგანიზაციებთან მუშაობისადმი ასევე არ გამოხატავს დიდ ნდობას. ამგვარად, ეს პირობები ზღუდავს წარმატებული თანამშრომლობის შესაძლებლობას.***

შესაბამისად, ნდობის აღდგენასა თუ ჩამოყალიბებისკენ მიმართული ღონისძიებები კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სექტორის გაერთიანებას და ხილული, ხელშესახები ცვლილებების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ დამატებითი რეკომენდაციები მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაზე და კონკრეტული ხედვა თუ როგორ გახადონ მცდელობები უფრო შედეგობრივი. საინტერესოა, რომ რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ძირითადად ზემოთ განხილული თემების მსგავსია. კერძოდ, ორგანიზაციები მდგრადი მიზნების განხორციელების ჩარჩოებში ძირითადად გასცემენ სამი ტიპის რეკომენდაციას:

| | |
|---|---|
| 1 | არასამთავრობო ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ საჭიროა ჩართული მხარეების მეტი ინფორმირებულობა მიზნებისა და მათი განხორციელების მექანიზმების შესახებ; |
| 2 | არსებობს სექტორებს შორის მეტი თანამშრომლობის საჭიროება, რაც გულისხმობს იმას, რომ პროექტებს უნდა მიეცეთ სისტემური სახე, ხოლო ძალისხმევა გახდეს უფრო ეფექტური; |
| 3 | ბიზნესსექტორი უფრო მოტივირებული უნდა გახდეს მიზნებში საკუთარი წვლილის განხორციელების კუთხით. |

# V. ახალი კორონავირუსის (COVID - 19) პანდემიის დროს განხორციელებული საქმიანობა

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ორგანიზაციებმა, კოვიდ-პანდემიის პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებაც ისაუბრეს. სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ძალზე რთულია საქმიანობის კატეგორიზაცია და მათი დაკავშირება კონკრეტულ მიზნებთან; ამასთან, ზოგადი დაკვირვება საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ამ ქვეთავში და კატეგორიაში მოხსენიებულმა საქმიანობებმა ყველაზე ხშირად სოციალური მიზნების განხორციელებას შეუწყო ხელი (მიზნები 1-ლი, მე-4, მე-5 და მე-10). თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა კონტრიბუციის საინტერესო შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის საკითხები და **SDG**-ის მე-2 მიზანი საქართველოს ფერმერთა ასოციაციის **(GFA)** სტრატეგიული მიმართულებაა, ორგანიზაციამ **COVID-19**-ის გათვალისწინებით წამოიწყო სოციალური ინიციატივა, რომელიც დაუცველი თემების დახმარებისკენ იყო მიმართული. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა საქართველოში კოვიდ-პანდემიის დროს შეიმუშავეს ინიციატივა. მათ შექმნეს პლატფორმა „1ანობა“. პლატფორმა თანამშრომლობს კერძო სექტორთან და, ასევე, აერთიანებს მოხალისეებს, რომლებიც ეხმარებიან **COVID-19**-ით დაზარალებულებს. ინიციატივის მთავარი მიზანია უფასო საკვების, მედიკამენტებისა და სხვა ძირითადი საყოფაცხოვრებო ნივთების მიწოდებით საქართველოს ყველაზე დაუცველი მოსახლეობის დახმარება. გარდა ამისა, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ჩაატარა კვლევა ქართველ ფერმერებზე **COVID-19**-ის გავლენის შესაფასებლად და მთავრობას მიაწოდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობა გათვალისწინებულია მათ მიერ მიღებულ ზომებში. **COVID-19**-ს მიერ შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად პროდუქტის მარკეტინგი/გაყიდვა სახელდებოდა. ამიტომაც, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ დაიწყო მოლაპარაკებები სადისტრიბუციო კომპანიებთან და საბაზრო ქსელებთან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს პროდუქტები უშუალოდ ფერმერებისგან შეეძინათ.

სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში, ასოციაცია „თანხმობის“ წარმომადგენელმა დაასახელა საზოგადოების უფრო დაუცველ ჯგუფებში **COVID-19**-ის პრევენციისაკენ მიმართული ღონისძიებები. რესპონდენტის თქმით, პანდემიის დროს ქალები მეტად დაზარალდნენ, რამდენადაც „ისინი, ძირითადად, მომვლელებად მუშაობენ, ბევრი ქალია სამედიცინო პერსონალს შორის, ისინი ბაზარში, აფთიაქებში მუშაობენ და შესაბამისად, რისკებიც გაცილებით მაღალია“. ამ ფაქტის გათვალისწინებით, საჭიროა სპეციალური პროგრამების შემოღება. რაც შეეხება **COVID**-19-ის დროს დევნილების დახმარებას, „თანხმობა“-მ დევნილთა დასახლებებში სადეზინფექციო სამუშაოები ჩაატარა. ასევე იძულებით გადაადგილებულ პირებს, ხანდაზმულებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს სამედიცინო ნიღბები დაურიგეს. ამის გარდა, ორგანიზაციამ შექმნა მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც ხანდაზმულებს მიაწვდის მედიკამენტებს. გასათვალისწინებელია, რომ „თანხმობა“-ს აქვს მობილური სამედიცინო ჯგუფი, რომელიც 20 წელია მუშაობს იძულებით გადაადგილებულ პირებთან და კონფლიქტით დაზარალებულ ჯგუფებთან. ამ ჯგუფებთან დასაკავშირებლად ასოციაციის წარმომადგენლები დადიან სოფლებსა და რაიონებში, სადაც ხანდაზმულებს, ახალგაზრდა დედებს და მრავალშვილიან ოჯახებს უფასოდ უწევენ მომსახურებას და მედიკამენტებს ურიგებენ.

**ასოციაცია ჰერა** XXI-ის წარმომადგენელმა ახსენა, რომ **COVID-19** პანდემიის დროს ქალთა უფლებების დაცვისთვის ორგანიზაციამ უზრუნველყო „ცხელი ხაზი“-ს მომსახურება. 2020 წლის მაისის მონაცემებით, ბევრი ორსული ქალი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

თვისებრივი კვლევის შედეგების პარალელურად, რაოდენობრივმა კვლევამ მოიპოვა სტატისტიკურად სარწმუნო ინფორმაცია პანდემიის ფონზე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ და შეისწავლა ქცევის მრავალი სხვა ფორმა. რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ორგანიზაციების 68.9%-მა აღნიშნა, რომ მიღებული აქვთ მონაწილეობა **COVID**-19 პანდემიის დროს განვითარებულ მოვლენებში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა აქტივობის სამი ფორმა, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე ხშირად ახორციელებდნენ პანდემიის პირობებში. კერძოდ:

1. ყველაზე გავრცელებული საქმიანობა იყო მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი თემებისთვის სადეზინფექციო საშუალებების შეძენა და მიწოდება (57,5%);
2. მეორე ყველაზე გავრცელებული საქმიანობა იყო სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები სასკოლო ასაკის ბავშვების დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად დამატებითი მომსახურებების შექმნა (32.9%);
3. მესამე გავრცელებული პრაქტიკა იყო COVID-19-ის პერიოდში ოჯახური და სხვა სახის ძალადობის შემთხვევების მონიტორინგი და მსხვერპლთა უფლებების დაცვის ადვოკატირება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტენდენციები შეინიშნებოდა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევების დროს. გარდა ამისა, რაოდენობრივმა კვლევამ მოიპოვა დამატებითი ინფორმაცია ახალი ტიპის აქტივობების შესახებ, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

**ცხრილი 3.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა COVID-19 პანდემიის პერიოდში განხორციელებულ აქტივობებში**

| აქტივობა | რაოდენობა (n) | პროცენტი(%) |
|---|---|---|
| COVID-19-ის დროს ოჯახში ძალადობის გაზრდილი შემთხვევების მონიტორინგი და მსხვერპლთა დაცვაზე ორიენტირებული ადვოკატირების წარმოება | 13 | 17.8% |
| მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების დახმარება პირბადეებითა და სადეზინფექციო საშუალებებით | 42 | 57.5% |
| სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დამატებითი სერვისების შექმნა დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით | 24 | 32.9% |
| ცხელი ხაზის გააქტიურება (ნდობის ტელეფონი) | 2 | 2.7% |
| პანდემიის ზეგავლენასთან დაკავშირებული კვლევის ჩატარება | 2 | 2.7% |
| COVID-19-ის შემდგომი ეკონომიკური მდგომარეობის საკითხებზე მუშაობა | 2 | 2.7% |
| წითელი ჯვრის მოხალისეობა | 1 | 1.4% |
| COVID-19-ის რეგულაციებთან დაკავშირებით გიდების გადამზადება | 1 | 1.4% |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 2 | 2.7% |

# დასკვნები

## ძირითადი მიგნებები

- კვლევის შედეგები მიუთითებს ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორის ინტენსიურ ჩართულობაზე. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, შესწავლილი არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი კონცენტრირებული იყო პირველი, მეხუთე, მერვე და მეთექვსმეტე მიზნების ირგვლივ.

- რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ძალიან მგრძნობიარეები არიან გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ. მეთერთმეტე და მეთორმეტე მიზნების განხორციელების კუთხით ყველაზე მაღალი მაჩვენებლები გარემოსდაცვით აქტივობებს (დასუფთავება, დარგვა, გადამუშავება) ჰქონდა. მსგავსი შედეგები არ დაფიქსირებულა მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიზნების ქვეშ (მიზანი 13,14,15).

- გასათვალისწინებელია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორი კარგად იცნობს მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგს. გამოკითხული ორგანიზაციების 81% იცნობს მდგრადი განვითარების მიზნებს. მიუხედავად იმისა, რომ პროექტების შემუშავებისას არ ხდება მათი დაკავშირება მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანთან, ორგანიზაციებს მაინც აქვთ ზოგადი წარმოდგენები მათი საქმიანობის ფარგლებში რომელი მიზნის იმპლემენტაცია ხდება.

- მიუხედავად იმისა, რომ პროექტები და სხვა ორგანიზაციული საქმიანობა მჭიდრო კავშირში იყო მდგრადი განვითარების მიზნებთან, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ახალი პროექტის დაგეგმვისას არ ითვალისწინებენ **SDG** მიზნების თავიანთ სამოქმედო გეგმებში გაწერასა და ინტეგრირებას. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ 24% იყენებს მდგრადი განვითარების მიზნებს ახალი პროექტების შემუშავებისას, ხოლო 50% პასუხობს, რომ არ იყენებენ მდგრადი განვითარების მიზნებს და პროექტული იდეები და ორგანიზაციული დღის წესრიგი არასამთავრობო ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებებითა და მანდატით განისაზღვრება.

- ამას გარდა, კვლევის შედეგების თანახმად, ორგანიზაციებმა შესაძლოა გაცნობიერების გარეშეც კი შეიტანონ წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში. გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არასამთავრობოების წვლილი ხშირად სცილდება მათ სტრატეგიულ მიმართულებებს და ისინი პირდაპირ ან ირიბად ხელს უწყობენ რამდენიმე მიზანს.

- აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა იყო თანმიმდევრული და მდგრადი. აქტივობების უმრავლესობა (მცირე გამონაკლისის გარდა) ბოლო ორი წლის განმავლობაში მრავალჯერადად ან რეგულარულად განხორციელდა.

- რაც შეეხება აქტივობების მასშტაბებს, შემთხვევათა უმრავლესობაში აქტივობების მასშტაბი 1-დან 200-მდე მერყეობდა. კვლევამ გამოავლინა კონკრეტული ორგანიზაციები, რომლებსაც ჰქონდათ რესურსი, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში თავიანთ ღონისძიებებში ჩაერთოთ დაახლოებით 1000, 5000, 10000 ადამიანი. ამრიგად, ღონისძიებების მასშტაბები მეტწილად ორგანიზაციის რესურსებსა და შესაძლებლობებთან იყო დაკავშირებული.

- კვლევის შედეგების საფუძველზე, გამოკითხული ორგანიზაციების მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ თანამშრომლობის ამჟამინდელი მექანიზმები არ არის ეფექტური და მათი გამართული მუშაობისთვის სხვადასხვა სექტორის მხრიდან ბევრი ძალისხმევაა საჭირო.

## ადამიანური რესურსების განვითარება და სოციალური კეთილდღეობა

- არასამთავრობო სექტორის დღის წესრიგის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მოწყვლადი თემების დახმარება და გაძლიერება იყო. ორგანიზაციული დღის წესრიგის საფუძველზე, თითოეულ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს საკუთარი ინდივიდუალური მიდგომა. ამ მხრივ, კვლევის შედეგებმა მხარდაჭერის სამი მოდელი გამოავლინა: (1) მხარდაჭერა ადვოკატირებისა და სოციალური ან ეკონომიკური პოლიტიკის მონიტორინგის გზით, მისი სამართლიანობის შეფასების მიზნით; (2) ტრენინგების ჩატარება, რომლებიც ზრდის მოწყვლადი თემების შესაძლებლობებს, თვითდასაქმების პერსპექტივებსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას; (3) მოწყვლადი ჯგუფებისა და მეწარმეების სოციო-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით მცირე საგრანტო პროგრამების შექმნა.

- მეორე მიზნის ფარგლებში, კვლევის შედეგებმა მიზნის განხორციელების ორი მოდელი აჩვენა: (1) ორგანიზაციების ნაწილმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობებითა და ფერმერებისთვის ტექნიკური ან ფინანსური დახმარების აღმოჩენის გზით; (2) ორგანიზაციების მეორე ნაწილმა ხელი შეუწყო სურსათის უვნებლობის სტანდარტებისა და არსებული პირობების გაუმჯობესებას ადგილობრივი სტანდარტების განვითარებისა და კონკრეტული პროდუქტების ლაბორატორიული შემოწმების გზით.

- ორგანიზაციების ყველაზე დიდმა ნაწილმა ხელი შეუწყო მესამე და მეოთხე მიზნების განხორციელებას ორგანიზაციის შიგნით, ვიდრე გარე ღონისძიებებითა და აქტივობებით.

- ორგანიზაციები აფასებენ თავიანთ თანამშრომლებს და სთავაზობენ მათ კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემას, რომელშიც შეუძლიათ ჩაერთონ. მსგავსი შიდაორგანიზაციული საქმიანობა ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მესამე მიზნის მიღწევას. გარდა ამისა, ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ორგანიზაციები ხელს უწყობენ მე-3 მიზნის განხორციელებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ქალთა ჯანდაცვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით. ამასთანავე, ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე ხელს უწყობს ქართულ საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას.

- იქედან გამომდინარე, რომ ორგანიზაციები ხელს უწყობენ შესაძლებლობების გაძლიერებასა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებას, ცოდნის გაზიარება და საგანმანათლებლო საქმიანობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ყველა პროექტის განუყოფელი ნაწილია. კვლევის შედეგების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა მეოთხე მიზნის განხორციელებას 3 ძირითადი აქტივობის იმპლემენტაციის გზით უწყობს ხელს: (1) თანამშრომლების განვითარების მხარდაჭერა; (2) შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით, მოსახლეობის, საჯარო მოხელეების, ბიზნესის და მედიის სექტორებისთვის ტრენინგების ჩატარება; (3) უნივერსიტეტებთან მუშაობა სტაჟიორების ან თანამშრომლების შერჩევისა და ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით.

## ეკონომიკური ზრდა

- კვლევის შედეგების თანახმად, მეშვიდე მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის არ იყო იმდენად პრიორიტეტული. რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, ეკონომიკური მიზნების მაჩვენებლებს შორის მეშვიდე მიზნის ქვეშ გამოვლენილი მაჩვენებლები ყველაზე დაბალია. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არასამთავრობო სექტორი აფასებს თავიანთ ადამიანურ კაპიტალს და ორგანიზაციები ხშირად მერვე მიზნის განხორციელებას ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნისა და ღირსეული ანაზღაურების უზრუნველყოფის გზით ცდილობენ. ორგანიზაციები ყველაზე ხშირად მხარს უჭერენ ქვეყნის შიგნით ახალი სამუშაო ძალის შექმნას

და ხელს უწყობენ ახალგაზრდების დასაქმებას. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური სტრატეგიული მიმართულებების მქონე ორგანიზაციებს ჰქონდათ პროგრამები, რომლებიც მხარს უჭერდნენ მეწარმეობისა და სოციალური საწარმოების განვითარებას, რაც პირდაპირ ახდენდა ზეგავლენას კეთილდღეობასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

- თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, ორგანიზაციებმა შეიმუშავეს გონივრული მწვანე პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს რესურსების ეფექტურ გამოყენებას და ოფისებში პასუხისმგებლიანი მოხმარების პრაქტიკების დანერგვას. კერძოდ, ორგანიზაციების მნიშვნელოვან ნაწილს აქვთ მწვანე ყუთები, რათა შეაგროვონ ქაღალდის ნარჩენები და გაგზავნონ გადასამუშავებლად. გარდა ამისა, ზოგიერთი ორგანიზაცია ოფისებში პლასტმასის გამოყენების ეტაპობრივად შემცირებას ცდილობს. გასაკვირიც არაა, რომ გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ამ მიმართულებით მეტად აქტიურები არიან; მაგალითად, **CENN** აქტიურად თანამშრომლობდა საჯარო სექტორთან ქვეყანაში ნარჩენების მართვის სისტემისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით.

## დემოკრატიული მმართველობა

- კვლევის შედეგების თანახმად, ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ თანასწორობის პოლიტიკას და პროექტების განხორციელების დროს მას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან. მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის განხორციელებასთან დაკავშირებით, კვლევამ მხარდაჭერის ორი ძირითადი ფორმა წარმოაჩინა. უპირველეს ყოვლისა, მმართველობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს მეტი წვლილი შეაქვთ მეთექვსმეტე მიზნის განხორციელებაში და პროექტების დაგეგმვისა და შემუშავებისას გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების ირიბი ასახვა ხდება. მეორე, სოციალურ-ეკონომიკურ თემებზე მომუშავე ორგანიზაციების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება გენდერული თანასწორობაა, შესაბამისად, მათ პირდაპირ შეაქვთ წვლილი მეხუთე მიზნის განხორციელებაში. კერძოდ, ისინი ატარებენ ტრენინგებს და შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებებს, რათა უკეთ მოხდეს გენდერული თანასწორობის კონცეფციისა და მნიშვნელობის გააზრება. გარდა ამისა, ქალთა უფლებების თემატიკაზე მომუშავე ზოგიერთი ორგანიზაცია ხელს უწყობს ქალების გაძლიერებას მცირე გრანტებისა და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შექმნის გზით. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციებს 2018-2020 წლებში ჰქონდათ საპროექტო საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობდა  არა მხოლოდ ქალებს, არამედ კრიმინალური წარსულის მქონე პირებს, პატიმრებს, დევნილებს და კონფლიქტის ზონასთან ახლოს მცხოვრებ ადამიანებს.

- კვლევის შედეგების თანახმად შესწავლილი ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა ჩართული იყო მეთექვსმეტე მიზნის განხორციელებაში და ხელს უწყობდა სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციები თანამშრომლობის არსებულ მექანიზმს უფრო უარყოფითად აფასებენ, ვიდრე დადებითად. იმისათვის, რომ ძალისხმევა უფრო ეფექტური გახდეს, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ უნდა გაიზარდოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი, უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ბიზნეს სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები პროექტების განხორციელებისას. ამ მიზნით, ორგანიზაციებს შეუძლიათ იმუშაონ ერთობლივ პროექტებსა და ინიციატივებზე, რათა თავიდან აიცილონ პროექტებს შორის გადაფარვა. ასევე აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა სურვილი გამოთქვეს მეტი კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის თაობაზე.

# დანართი :

## ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც მონაწილეობდნენ თვისებრივ და სამაგიდე კვლევებში

| | |
|---|---|
| 1 | ალიანსი საგზაო უსაფრთხოებისთვის |
| 2 | ანიკა |
| 3 | ათინათი |
| 4 | კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ქსელი (CENN) |
| 5 | საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი(CSRDG) |
| 6 | სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA) |
| 7 | ევროპის ფონდი |
| 8 | ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) |
| 9 | საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) |
| 10 | საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) |
| 11 | ასოციაცია ჰერა-XXI |
| 12 | დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ |
| 13 | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) |
| 14 | ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF) |
| 15 | ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) |
| 16 | საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI) |
| 17 | ქალთა საინფორმაციო ცენტრი |
| 18 | ქალთა ფონდი |

Global Compact
Network Georgia